

ბრძოლა



ჩვეულებური ფურცლი საქ. ხაზ. 1925. || «LA LUTTE» — Revue mensuelle du
ქმ. პარტ. სოციალ-დემოკრატული ბურჟუაზია || Parti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

ფასი 4 ფრ. | პარიზი, სექტემბერი 1925. № 3. Paris, Septembre 1925. | Prix 4 Fr.

29 აგვისტო.

გავიდა ერთი წელი, წელი ბრძოლის და თავის დადების, სიკოცხლის და სიკედილის.

შარშან აღსდგა ქართველი ხალხი მტარვალთა წინააღმდეგ, მან აშართა დროშა თავისუფლების, სამფეროვანი ალამით. შეგუბებული გრძობა ერისა გადმოურთხილდა. წყურვილი აღდგომისა იარაღით გამოიხატა. დაკადილი არჩივი შემოტრიალდა. ჩამოყრილი ფრთები მაგრათ გაშალა. მობდა საქმე დიდებული. ქვეყნათ ვაისმა ერის ძახილი. კეთილი ვევეთა ბოროტებას. ბოროტმა შიმართა შურისძიებას.

მობდა საქმე საშინელი: ხელისუფლება გააფთრებული მესწრს ავლებს ციხეში გამოთმევადულ ტყვეთ, ქუჩაში მოსიარულე უდანაშაულო ხალხს, ქალთ, ბავშვთ. მოხუცთ, დაუნდობლათ. განურჩევლათ. დადგა უმანკოთა სისხლის გუბებები და შიგ შეცურდენ ბოლშევიკები.

და დღეს, ჩვენ ვდღესასწაულობთ ერის გამოუხიზლებას, ევლოვობთ დაღუპულთა სამარეებს.

29 აგვისტო-ეს სიხარულის და უმუნვის დღეა, სიკოცხლის და სიკედილის პაემანია. აშკარა ბრძოლა და მუხანათური პასუხი, რაინდული შეტევა და ლაშრული თავდასხმა, კელტურა და ბარბაროსობა, ორი ქვეყანა. ორი სათავე დღეს შეიტყა. პირველი ჩენია, ქართველი გმირისაა, მოწინავე კაცობრიობისაა: მეორე მათია, გოგონების მოციქულების, ბნელეთის ქურუმების. ის არის ქართული, ხალხური, კაცობრიული. ეს კი ევლური, უცხო, მოღალატური, გამარჯვებულნი უღირსნი შვილნი და განაწამები მშობელი დედა, ბოლშევიკები და ქართველობა—მათ შორის ხიდი ჩატეხილია და მით იარაღი მტარვალთა მოსპობის გამოუქედილია.

შარშან დაეცენ საუკეთესო მამულის შვილნი, ბრძოლაში გაწრთნილნი და გამოკვეთილნი, ბოროტმა სძლია კეთილსა. მარა არსება მისი მოკლეა, დაშარცხებულინი უკედენი არიან: სიკედილი სიკედილის დამორგუნველი და შევდრებით აღმდგენელია. დანთხული წმიდა სისხლი, დაბნეული წმიდა ძელები, დანთებული ლამპარია, მანათობელი ვარსკვლავია, რომლის ირგვლივ ქართველი ხალხი თავმოყრილია. ის ჩვენ გვაგალებს, ის ჩვენ გეიწოდებს მოქმედებისაკენ. ერის სეინდისი არ მოიხვენებს, სანამ ეს ანდერძი არ შესრულდება, ცრემლთა ღვარი არ შეშრება, სანამ მკვლელნი არ დაისჯებიან.

ერი უკვდავია, მას ვერ მოსპობენ მოძალადენი. ის აღსდგება და მასთან ერთათ აღსდგებიან მისთვის თავდადებულნი. მისთვის სამსხვერპლოზე მიტანილნი. საქართველოს მზის ამოსვლა იქნება იმავე დროს მტარვალთა მზის დაბნელება, მათი დარღაშობის დაბოლოება. ქართველის ზურგზე გადაიარეს მრავალმა ურდოებმა, უკანასკნელათ მოსკოვის ურდომ. ამით დასრულდება მისი ისტორიული განაწამება და ობოლი სული დღეს ტყვეთ ქმნილი ველავ მოიპოვებს თავისუფლებას.

ამ მერსისათვის დაიხილენ ჩვენი ამხანაგები. ამ იღვალს მტლათ დაედვენ ჩვენი საყვარელი მეგობრები. ჩვენ ვაგვყარა დროთა ბრუნვამ. გზა. მათ მიერ განვლილი, ჩვენ მიერ გასავლელია. დროშა, მათ მიერ გადმოცემული, ჩვენ მიერ მისატანია.

საქართველოს სოც-დემოკრატიკა შეასრულებს თავის მოვალეობას, მოვალეობას პოლიტიკურს, ამხანაგურს და მეგობრულს. ის დგას თავის სადაზაჯოზე და ერს მოუწოდებს: ქართველო კაცო, არ დაივიწყო წმიდა საფლავი...



მ ა თ ი ხ ა მ ა რ თ ა ლ ი .

გასული წლის აჯანყების უკანასკნელი აქტი ბოლშევიკებმა წელს გაითამაშეს. დაბოცეს რა შარშან აუარებელი უდანაშაულო ხალხი, გადაარჩინილი მისცეს სამართალში. რა მიზნით? კიდევ სისხლი სწყუროდათ? მსოფლიოს აღშფოთებამ მათ მიერ დაყენებულ სისხლის გუბებზე მათ ხალისი დაუქარგა ამ გზის გაგრძელების. მათი გული სისხლით საკმაოდ გამძლარია. ამით მიიმეტ დატვირთულია ისინი. მათ მოინდომეს პროცესით პოლიტიკური კაპიტალის შექმნა, სოციალ-დემოკრატიის და მისი მოკავშირე ანტისაბჭოთა პარტიების გაბახება და თვით წუმპედან წმინდათ გამოსვლა. ამ მიზნით მოაწყვეს შემიავინ-შეგლოვიტოვის სასამართლო. მელა და მისი კუდი მსაჯულათ და მოწმეთ განაწესეს, ჩეკისტურ-პარტიული შუიჩისძებრა სამართლათ გამოაცხადეს. მიუხედავათ ყველა ამ ზომებისა პროცესი დამთავრდა ბოლშევიკების სრული დამარცხებით. მათი პოლიტიკური და მორალური ფინიონომისი სავსებით დასამარებით.

და მართლაც, პირველი საკითხი, რომელიც უნდა გარჩეულიყო—არის საკითხი აჯანყების მიზეზების შესახებ. დანაშაულობის მოტივის, დამნაშავის მამოძრავებელი მიზეზების გათვალისწინება—ეს ელემენტარული უნდა და ამავე დროს ძირითადი დებულება სამართალის და გასამართლების, საქართველოს პროცესში ეს ჩინებოდა იმავე დროს პოლიტიკური დებატები და მით პროცესი მიიღებდა ფართო პოლიტიკურ ხასიათს. ბოლშევიკებმა სწორეთ ეს გზა უარყვეს. მიზეზების გამოკვლევა უკუაგდეს. პოლიტიკურ კამათს გაექცენ და საქმე ჩააყენეს ვიწრო, უშინაარსო და უპერსპექტივო ჩარჩოებში. როცა ცინცაბაძეს მოწმის შეკითხვის საშუალებით სურს მიზეზების გამოარკვევა, თავმჯდომარე აჩერებს. ამაზე ანდრონიკაშვილი უპასუბებს: ბრალდებული აცხადებს, რომ საჭიროა გამოარკვეს აჯანყების მიზეზები და ბრალდებულთ უნდა მიეცეს საშუალება მოწმეების დაკითხვის დროს ეს მიზეზები გამოარკვიონ. მოთხოვნილება ნათელია; მარა თავმჯდომარე ვაშაძე, რომელსაც კარგათ შეუსწაველია (თუ შეასწავლეს) შეგლოვიტოვის აგენტის ცნობილი ლაგოდანს ოინები, სრულიად უტიფრად აცხადებს: აკანონის ძალით ვაძლევთ უფლებას გააშუქათ ის, რაც გამოარკვევს ბრალდებულების მოქმედებას და პიროვნებასო. (კომ. № 168). დიდებულ კანონი ქონიათ! მიზეზები თურმე სრულიად არ შედის დანაშაულობაში, როგორც ერთი მისი მიუცილებელი ელემენტი!

ამნაირათ, ბრალდებულებმა მოინდომეს დავის პოლიტიკურ ნიადაგზე გადატანა, ერის მდგომარეობის საჯაროთ გადაშლა, აჯანყების მიზეზების გამოჩვენებრა, ხელისუფლება ამას გაექცა და ის აკანონის ძალით აკრძალა. რატომ? ცხადია რატომ. ამ შემთხვევაში ბრალმდებელნი დასკუბდებოდენ ბრალდებულთა სკამზე. ხოლო ბრალდებულნი და მათთან ერთათ მთელი ხალხი გაზდებოდენ მათ მსაჯულებათ. ისინი გაექცენ ამ ხალხის სამართალს, მოკურცხლეს ბრძოლის ველიდან და ჩაიკეტენ ჩეკის სამშვიდობოში.

ბოლშევიკებმა განიცადეს პირველი დიდი დამარცხება.

მათ უარყვეს რა ფართე პოლიტიკური პროცესი, მოინდომეს დამტკიცებით სოციალ-დემოკრატიის კავშირი ბანდიტურ გამოსვლებთან და აჯანყების სახლარ-გარეთის კარნახით, ფულით და იარაღით მოწყობა. ამ დებულებაზე აავგ მთელი თავისი სიტყვა პროკურორებმა—ოკუჯავა-ქაფთარაძემ, რომელთაც ეს თანამდებობა ისე შეფერისთ, როგორც უნაგირი ძროხას. არც ერთ ბრალდებულს, არც ერთი ეს დებულება არ დაუდასტურებია, პირიქით ყველა იცავს პროკრის პრესტიჟს და მოძრაობის შინაგანი გადაწყვეტილებით დაწყებას. ასე გასინჯეთ, ამ გზას ადგია სეთი დედდარია-ნიცი კი! ბოლშევიკებმა იშოვეს ვილაც საეჭვო პირი ლლონტი, რომელიც იძლევა აბნეულ-დაბნეულ ჩვენებას გოგოტა ფადავაზე; ჩეკის ხელი აშკარათ ატყვია ამ ჩვენებას. შეიძლება ყაჩაღები მართლაც ელაპარაკებოდენ მოწმეს და თავის საქმე პარტიის საქმეთ გამოქონდათ. ასეთი ამბავი ხშირათ მომხდარა. მარა პარტიის კავშირი ყაჩაღობასთან—ამ ჩეკის მოწმემაც პირდაპირ ვერ აღიარა. ქარცივაძე (და მასთან ერთათ ყვე-

ლანი) «სავსებით უარყოფენ მენშევიკური პარტიის ტერორისტულ და ბანდიტურ მოქმედებას. (მოსკოვის «იზვესტია» № 174).

ამ კატეგორიულ განცხადებას პატიოსანი, თავდადებული მოღვაწისა და დუპირ-დაპირეს განცხადება აშკარა ჯამუშების: ხმალახის, ნ. ხომერტის გამცემის, და ლაწირაყ დავითა ურუშაძის, ჩეკის ოფიციალური აგენტისა ასეთი ზნეობრივი დაცემის მოწმობა მისცეს ბოლშევიკებმა თავის თავს.

ასეთივე ბედი ეწვია მეორე ბრალდებებს. არც ერთი ბრალდებული არ ამოწმებს მას, არც მოწმე დედდარჩინი, როცა მას შეეკითხა დამცველი დადიანი, რა საბუთი გქონდათ გეფიქრათ, რომ თუ ევროპის კარნახი არა, აჯანყება არ მოხდებოდაო, ის უგებს: «არ ყოფილა ასეთი საბუთებიო. მე გგონია არც შემდეგ იყო. რეალური გარანტია არ ყოფილაო. ხოლო ონიაშვილი გამმოგვეცხვოს ნ. ხომერტის ნათქვამს—ევროპა მხოლოდ დიპლომატიურ დახმარებას აღმოგვიჩენს. დედდარჩინი ამას უმართლაც განიხილო დახმარებასაც. ე. ი. თუ საქართველო განთავისუფლდება ბოლშევიკებისაგან, ევროპიდან დახმარება იქნება დიპლომატიური და ფინანსური. და განა ეს საეჭვოა? გამარჯვებული არ ვიყავით, რომ ნაციათა ლიგა ჩაერია, გავემარჯვა—მაშინ ხომერტის და დედდარჩინის ნათქვამი სავსებით გამართლდებოდა. მარა ბრალდება ხომ ამაში არ არის, ეს სადაოთ არ გამოუტანია ბოლშევიკებს. მათ განაცხადეს: რომ აჯანყება სასლფარ-გარეთიდან იყო ნაკარნახევიო და აი ეს კი არსაიდან, არც ერთი ჩვენებიდან არ დამტკიცდა. ოკუპაცია ისე გაიტაცა თავის მიერ შექმნილ ცრუობათა ხელულამ, რომ მეორე ინტერნაციონალიც საქმეში ჩარია და აჯანყების მეთაურთაც კი გამოიყვანა მთავარი ბრალდებულნი ანდრონიკაშვილი, იშნელი და ჯავახიშვილი სავსებით აქარწყლებენ ბოლშევიკთა ყველა ასეთ ნაჩხანეს. სადალა ეს ევროპიდან შეტანილი იარაღი, კაპიტალისტების მიერ მიცემული ფონდი. მენაშეთების კარნახი და სხვა ამგვარი ბრალდებანი, ბოლშევიკების მიერ მოთვ ჭეყანაზე გაერყლებული? მათ მიერ შეხანსლულ სასამართლომ ისინივე დაიჭირა აშკარა ტყუილებში. ცრუ ხმების გაერყლებასა და ცილისწამებაში, ლეგენდა პარიზიდან მოწყობილ აჯანყებაზე საშუადაოთ გაქრა.

დამარცხდენ რა ასე საქართველოში, ბოლშევიკები შეეცადენ ვინმე მოწმე ეშოვათ სასლფარ-გარეთ და დიდის ვაი-ვაგლახის შემდეგ გამოახოზორიკეს ერთი ადამიანი, ღირსეული მამის უღირსი შვილი, რომლის აბდა-უბდა წერილის შინაარსი ქვეყანას ამცნეს დეპუტით. ეს ევებატონი გახლავს ლელი ჯაფარიძე, რომლის მამა ექიმი სვიმონ ჯაფარიძე ბოლშევიკებმა მოკლეს ლაჩრულათ სატუსალოში. აი ახლა შვილი მიემბრო მამის მკვლელთ და მათ ამხნევეს, მე დავამტკიცებო... ასეთი დაცემული კაცის მოწმობა ბოლშევიკებისათვის დავგილოცნია, უკეთესს თავისთვის ვერ გამოხანავენ. ამით ისინი აღიარებენ საჯაროთ, რომ თფილისში ვერაფერი დაამტკიცეს, იქ დამარცხდენ და ახლა ჭუჩა-ჭუჩა კრეფენ ახალ ჭორებს.

ამნაირათ პირველსავე პოლიტიკურ პროცესზე, რომელიც ბოლშევიკებმა თავის სახათაბალოთ გამოიწყეს, ისინი დამარცხდენ და თავისი გამურული სახე ოღნავათაც ვერ მოიზოცეს. ისინი მარჯვე არიან ჩეკის ჯურღმულში. ხელ-ფეხ შეკრულ ტყვესთან ლამის წყვდიადში; დღის სინათლეზე საჩვენებელი პირი არ აქვთ. ეს ოთხი წელიწადია პირველათ ახლა დაიწყეს მარცხათ საზოგადოებაში თავისი ბნელი საქმეების გამომხეურება და მიიღეს შესაფერი მსჯავრი.

პროცესი სწარმოებდა ჩეკის ატმოსფეროში. რომლის დამოკლეს მახვილი თვითეულ მონაწილეს თავს დასკეპროდა. ბრალდებულნი, მოწმენი, ვეკილები—ყველა მის კლანჭებში გრანობდენ თავს და ამიტომ თვითეული სიტყვა, თვითეული გამოხელა საფათარაკოთ მიჩნდათ. ასეთ უკაცრავათ პასუხია «სასამართლოში» ვინ როგორ შესძლებს თავის დაძვრენას, ბოროტი ხელებიდან განთავისუფლებას—ეს პირადი საქმეა თვითეულის და საერთო პოლიტიკას არ ეხება.

ბოლშევიკების სამართალი მათივე გასამართლება გამოდგა. მათი პოლიტიკური და მორალური გაკოტრება პროცესმა საჯაროთ გახადა. ისინი ხომ მთლიან ანგარიშს არ ბეჭდავენ, არჩევენ რაც მოეპრიანებათ. და ამ შერჩეული ანგარიშის დასკვნა ერთათერთია: მათი სამართალი მათ წინააღმდეგ!



ეთნი წელი ეროვნულ განთავისუფლებისათვის ბრძოლის.

1921 წელს დაეცა დამოუკიდებელი საქართველო და მას უცხო ხიზრით შემოსული კომუნისტები დაეპატრონა.

საქართველო დამარცხდა. მარა მტერს არ დანებებია, არ დამორჩილებია. პირიქით დაპყრობილსა და დამპყრობელს შორის ბრძოლა ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა და არც შეწყდება... მძიმეა ეს ბრძოლა, უთანასწოროა მეტბრძოლთა ძალები, მარა ერი ვერ მიიტოვებს თავის სიმატლის ძიებას, თავის უფლების მოთხოვნას.

ბევრი, მეტათ ბევრი მსხვერპლი მოითხოვა პატარა ქვეყნისაგან ამ ბრძოლამ, მოითხოვს კიდევ, სანამ ერი დაკარგულ თავისუფლებას დაიბრუნებდეს. ჩვენ განვლილი გვაქვს მხოლოდ ერთი ეპოქა ამ ბრძოლის, ერთი დიდი ხანა, რომელიც თუ გნებავთ ერთნაირი გაგრძელება იყო სოფლისეზის და კოლხორის ბრძოლების და რომელიც შეიძლება გამოიხატოს ფორმულით: ომი არ შეწყვეტილა დაპყრობილ საქართველოში.

მარა თუ იყო ომი, ეს არა იმიტომ, რომ ასე სურდა ქართველ ხალხს, თუ იყო სისხლის-ღვრა, ეს არა იმიტომ, რომ ამას ელტვოდა საქართველო. პირიქით. ის თავზე მოახვიეს მას მოძალადე მტრებმა, ბატონათ შემოსულმა მოსკოვის ემისრებმა.

პოლიტიკის ორი მთავარი ხაზი დანახვა ოკუპაციის პირველი დღიდანვე. ერთი იყო ხაზი ერის თვითმოქმედების, მის ძალთა შეგროვების, შეკავშირების—ხაზი უაღრესათ პოლიტიკური, რაც გულისხმობდა სოციალურ ბრძოლის კულტურულ ფორმებს და საშუალებებს. მეორე იყო ხაზი ერის გასარესის, მისი ცოცხალი ძალების ამოქუცის, მისი გულის ნადების «შანთით ამოწვის», როგორც ამას გაიძახოდა კომისრათ მოვლენილი ბუღუ მდივანი.

პირველს წარმოადგენდა ქართველი დემოკრატია სოც.-დემოკრატის მეთაურობით. მეორეს—კომუნისტები მოსკოვის ხიზრებით შეიარაღებულნი. პირველი აღიარებდა დაპყრობის ფაქტს, მიიჩნევდა ხელისუფლებას, როგორც გარედან ძალით შემოსულს, და მზათ-იყო-ერის საკეთილდღეოთ გაეწია მუშაობა კულტურულ და ეკონომიურ დარგებში, ორი მართიეი მაგრამ აუცილებელი პირობით: ერთი,—შერჩენოდა ერს დამოუკიდებლობა ე. ი. უცხო ჯარი ქვეყნიდან გაეყვანათ და მეორე—თვით ფაქტი დაპყრობის—საერთაშორისო მუშათა დემოკრატის მიუდგომელ განხილვის საგნათ ქვეუღიყო. ამას ამბობს 10 აპრილის რეზოლიუცია, თფილისის სახანოთ თეატრში გამოტანილი სოც.-დემ. პარტიის მიერ. ეს იყო ერთად ერთი საშუალება სისხლიანი კონფლიქტების თავიდან აცილების და აწ ისოტრიული თავის მშვიდობიანთ გადაჭრის.

ბოლშევიკებმა ეს გზა უარყვეს და უსამართლობის შერჩენა იარღზე დაყრდნობით მოისურვეს. არც ერთი პირობა სოც.-დემოკრატების წამოყენებული არ მიიღეს.

მოლაპარაკებამ და გონიერების საბუთებმა ვერაფერი შეაგონეს მახარაძე-ორჯონიკიძეებს.

და ჩვეა შეუდგა დიქტატურის გატარებას, რასაკვირველია, ტერორით და პროვოკაციით.

შვე ორი თვის შემდეგ დღიდან რუსის ჯარის შემოსვლისა გავარდა საპროვაციო ბოძმა ქუთაისში და დაიწყო რეპრესიები. ეს იყო აპრილის ბოლოში 1921 წელს. და ამ დღიდან ბარბაროსული პოლიტიკა დვენის. წამების, დატუსალების, გადასახლების არ შეჩერებულა.

ზასიური ჩვენი პარტია სარდაფ ქვეშ მოექცა და მასთან მთელი ერი არალეგალურ პირობებში ჩავარდა, კანონის გარეშე გამოცხადდა. არავინ იყო უზრუნველყოფილი ჩვეის სტუმრობისაგან. ხალხი იძულებული იყო რევოლიუციურ გზას დასდგომოდა.

მრავალ ათეულ წლების განმავლობაში თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოწერთილი—იგი ეხლაც გატაცებით შეუდგა ახალი დესპოტიის თავიდან მოშორებას ძველი ნაცადი რევოლიუციური საშუალებებით. საქართველოს ყველა პარ-

ტიები, (გარდა კომუნისტებისა, რასაკვირველია) სოც.-დემ. პარტიის მეთაურობით ჩაუდგენ სათავეში ამოძრავებულ ხალხს.

პირველ ყოვლისა ისინი შეეცადენ კომუნისტურ ხელისუფლებაზე საჯარო მანიფესტაციებით გავლენის მოხდენას, რომ საქმით გაეტანათ იქ, სადაც სიტყვად დალოლიკამ ვერ ვასურა. მთელი ორი წელიწადი გავრძელდა საჯარო გამოსვლები, მიტინგები, პეტროკები, აბოძოქრდა მთელი ერთი, მძლავრათ ქუზდა წმა მუშების. გლეხების, მათ აპყვა მთელი ახალგაზრდობა, განსაკუთრებით სტუდენტობა. ამოძრავდა მთელი ჟ. წ. ფართო საზოგადოებაც, სამანიფესტაციო ასპარეზით იქცა თეატრი და სინემა, ბალი და ქუჩა, ქარხანა და სახელოსნო, დამოუკიდებლობის და დამპყრობის დღეები, მიცვალებულ მსხვერპლთა გასვენება და დასაფლავება...

მარა ხელისუფლება მოსკოვის აგენტების ყრუ იყო ხალხის ხმისადმი... მან ხალხის მკაფიოთ გამოთქმულ ნებისყოფას უსასტიკესი ველური ზომებით გასცა პასუხი. ეს იყო რეპრესიების განხრახ, შეგნებულათ მიმართული იქითკენ, რომ ხალხი მოთმინებიდან გამოეყვანათ. ზნეობრივი და ფიზიკური ტანჯვა, დაცინვა, აბუჩათ აგდება ერის წმინდათა წმინდის, ცინიკური უხეში მოპყრობა—განა ადვილი იყო ყოველივე ეს აეტანა ქართველის გულს?

რა საშინელი გაბოროტებული ცინიზმით იყო სავსე კომუნისტური ხელისუფლების განცხადება, რომელიც თვით თავისუფალი აზრს, დემოკრატიულ მისწრაფებას, განწყობილებას, სიმპატიებს, უბრალო ფიქრს, გონებაში გავლებულს, ძირიანათ ამოფხვრას უქადდა რკინის ხელით, გახურებულ შანით...

მართლაც გაიხსენათ: 1921 წლის გაზაფხულზე მთელ საქართველოში ყველა სოც.-დემ. მეთაურების დატუსაღება, მაშინდელი ტყვეები, ვინც ცოცხალი გადაარჩა, დღესაც სუბდალის ციხეში ან თურქესტანის მივარდნილ კუთხეებში ებრძვიან ცელ-მოლოჩრილ სიკვდილს.

ხელისუფლება აშკარათ იწვევდა ხალხს მოთმინების დასაკარგავათ... აბა შეხედეთ: იპურენ მეთაურთა შორის ყველასგან პატივცემულ მოხუც რევოლიუციონერებს, სილიბისტრო ჯიბლაძეს და ისიდორე რამიშვილს, მეორეს ასახლებენ. პირველი კი დაავათმყოფებული, სულთმოპრბაივი გამოუშვეს. გადაიძალა და საიდუმლო ბინაზე განუტყვა სული... მარა მიცვალებულსაც სწვდა ბინძური ხელი ჩეკის.

და ჩვენი ტკბილი სიღვა, ეს დემოკრატიის სენიდისი, რევოლიუციური პატრიარქი ჩვენი სოც.-დემოკრატიის, ხალხს არც ცოცხალი აჩვენეს, არც გარდაცვალებული დაასაფლავებინეს, ჩეკის აგენტებმა თავის გასერილ ხელებით წაიღეს ეს წმინდა ადამიანი უცნობ სასაფლაოზე...

პარმენ ჭიჭინაძე ძველი რევოლიუციონერი, სამხედრო მინისტრი, ისე ჩაქლეს ციხეში, რომ უკანასკნელ მომენტამდე კაცს არ ანახვეს.

ლევ ნათაძე—ტიფმა და შიმშილიმა შეიწირა...

მარიამ ბერძინაძე—ძველი მუშა-რევოლიუციონერი და მუშა-ქალთა მოძრაობის მეთაური—სიცოცხლეს გამოასალმეს...

სიკვდილის ცელი დაატრიალეს სოც.-დემოკრატიის ძველ გვარდიაში და მით ერის მეთაურებში.

ხალხის გული ბოღმით ივსებოდა. მას განგებ მოაშორეს ხელმძღვანელნი, რომ გზაკვალი იოლათ აებნიათ და თავის ანკენზე წამოეგათ.

მარა ხალხი თავის გზას განაგრძობდა. მანიფესტაციებმა იმატეს, რომ ბოროტი ხელი შეეჩერებინათ. ძარღვებ დაჭიმული ერი ბრძოლის პოლიტიკურ საპყეს ხელში მაგრათ იპურდა... და ეს ბრალით ავსებდა სისხლ-მოწყურებულ მოსკოვის ლაქიებს...

გაჩაღდა ახალი რეპრესიები ახალი სიძლიერით. ციხეები აივსო ტყვეებით. გადასახლება უცხოეთში დაბარკადებით მეტეხის ციხეში, გადასახლება რუსეთის შორეულ კუთხეებში რამდენი ამხანაგი, რამდენი ძველი, გამოცდილი რევოლიუციონერი გაიტაცეს ჩეკის აგენტებმა ბოლშევიკურ ეტაპებში შიშველი, პერანგის ამბრა, ღამით, ცივ ქვეყნებში გადასახალბებლათ. ცარიზმის სასტიკი რეჟიმი მონაგონი არ იყო ამ ახალ მოვლენილ ველურთა უდიერ მოპყრობასთან... მუშათა კლასის მთელი მოწინავე რიგები მოხვეტეს, გაფანტეს, გადაკარგეს ან გაწყვიტეს...

ასეთი იყო შერიგების სიტყვა ბოლშევიკების.

მთავარი საგანი ქართველ ხალხის გულისთქმის—საქართველოს დამოუკიდებლობა ამავე ხანებში არარათ აქციეს. სიტყვით აღიარებულნი, იგი ფაქტიურათ თავი-

დანვე გაუქმებული იყო, ხოლო ახლა ეს ფორმალურათაც დაადსტურეს საქართველოს იძულებით კავკასიის ფედერაციაში მოთავსებით და შემდეგ ამ ფედერაციის მოსკოვის კავშირში შეყვანით.

საერთაშორისო სოციალისტურ-კომუნისტური შერეული კომისიის ანკეტა ახლოსაც არ მიიკარეს,—სასაცილოთ აიგდეს.

სექ ამრიგათ ხალხს მოუტრეს ყოველი გზა, ყოველი სახსარი განძრევის, თავის სიტყვის თქმის, თავის ბედზე ზედმოქმედების... ორი ბანაკი—მოსული ბატონები და ქართველი ხალხი ერთმანეთს თანდათან შორდებოდენ და უპირდაპირდებოდენ.

და გაისმოდა განუწყვეტელი სისინი გაბორბებული ბატონების—ხალხი იარაღს არ მიმართავს, ცხადია ჩვენ გვემხრობა, გვემორჩილება, მოვეწინაურთ, მიგვილო... სისხლს არ ღერის და ეს უკვე ანკეტაა ჩვენს სასარგებლოთ...

ასე პროვოკატორობდნენ გაუმძლავრი სეავები, თუმცა იცოდნენ, რომ სინამდვილე სულ სხვას ამბობდა. იცოდნენ, რომ მათ თავს მოახვიეს დაპყრობილ ქვეყანას განუწყვეტელი ომი განუწყვეტელი დაწვა-აწიოკებით და სისხლის ღვრით.

სვანეთის აჯანყება, დუშეთის და მთის გამოსვლა და სხვ. ასეთი ნაწილობრივი ამბობებები—რომელთაც სასტიკი დარბევა, გადაწვა, აოხრება მოსდევდა. სისტემატიურ მოვლენათ იქცენ დამანებულ საქართველოში.

დესპოტიამ ვერ გააბა ძაფი ხალხის გულთან, ვერ მივიდა მასთან რკინის ხელით. შიშით ვერ შექმნა სიყვარული. მხოლოდ ერთი კი მოთმინებიდან გამოიყვანა...

ვინც ხმალს ვერდნობა, ის ხმლით მოკვდებაო, ნათქვამია. ბოლშევიკებსაც არ ასცდებათ ამ ისტორიული თქმულების განაჩენი. მარა დღეს კი სისხლის მორევი ჩაიყოლიეს ხალხის საუკეთესო შვილები. აჯანყება 29 აგვისტოს არ დაწყებულა, არა—ის დაიწყო ადრე, სიღვას გვამის მოტაცებით, აურაცხელი დატუსაღებებით, მშვიდობიან მანიფესტაციების ტყვიით დაცხრილებით გურიაში, თფილისში, ქართლ-კახეთში; ის გრძელდებოდა მუდმივი ეგზეკუციებით, მთელი კუთხეების აწიოკებით. როგორც იყო მაგალითად ობოლადის მოკვლის შემდეგ გურიაში, ან ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის ყოველ განძრევანზე კახეთში; ამას სდევდა დაზვრეტა ტუსაღების, აყვანილ მძევლების, განუწყვეტელი ომი მძინეარებდა ოკუპაციის ქვეშ მყოფ საქართველოში. მას გამუდმებით იწვევდა და აწარმოებდა პროვოკაციული ხელისუფლება კომუნისტების.

რამდენი ჩამოვთვალათ გაღებული მსხვერპლები?

ოთხმოცდაცამეტი ერთ ღამეს დახვრეტელი, ათეულები სხვერპლათ შეწირული რომელიც კომუნისტის სასახელოთ, სახელოვანი აფიცრობა 1923 წლის მაისში დაბოცილი შეთქმულებისათვის. გადაწვა სოფლების დუშეთში და მთაში ჩოლოყაშვილის გამოსვლის გამო, თუ სხვა, ვინ მოსთვლის?

რალა უნდა დარჩენოდა ასეთ პირობებში ხალხს? რა გასაკვირველია, თუ მან ჩეკის სარდაფში ქედმოხრით სიყვდილს, იარაღით ხელში სიკვდილი არჩია?

ხალხი ეყვება მტერს, მან სახელოვანი ბრძოლა გამართა, თავის სისხლით აღბეჭდა თავის სიმართლეს. და ერის რევოლუციური სულისკვეთება ქვეყანას ამცნო.

თუ იგი უსწორა ბრძოლიდან იარაღში დამარცხებული განაჯიდა, სამაგიეროთ მორალურათ გამარჯვება სავსებით მას დარჩა. მთელმა ქვეყანამ ასე გაიგო მისი თავგანწირული სულისკვეთება. და ის სამართლიანათ აჩაგრულ ერთა სიმბოლოთ გამოაცხადა მუშათა სოციალისტურმა ინტერნაციონალმა.

და სადაც ერთ გმინავს მძიმე უღლის ქვეშ—იქ ყველას გაახსენდება საქართველოს სახელი: სადაც თავისუფლებისთვის იბრძვის დაჩაგრული აკობრობა—ყველგან წარმოსდგება ქართველ გმირთა აკლადამებიდან სახელოვანი აჩრდილები.

ბრძოლა გასული წლის შეტაკებით არ გათავებულა, არ შეწყვეტილა. დღეს მოქანცული, სისხლში დაკლილი საქართველო მხოლოდ ძალებს იკრებს. მის გმირთა ხსოვნა, რომელთაც სისხლით შეღებეს სამეგრელოს ველები, უიათურის მიდამოები, ვინც მუშანათურათ დაფლითეს ვაკონებში ფარასავით შეყრილინი, ვინც ჩეკის სარდაფებიდან დასაკლავათ გამოიყვანეს, ან შურისძიებით დაბოცეს, საუკეთესო საქართველოს შვილები მძევლებათ რომ ყავდა მტერს დატყვევებული, ყველა ამათი ხსოვნა სამუდამოთ, საშვილიშვილოთ დარჩება ერის გულში, თაობიდან თაობაში გადავა და ხალხს ახალი ბრძოლისკენ მოუწოდებს.

მ ც ხ უ გ ი ს ი ლ ვ ა ს უ კ ა ნ ა ხ ნ ე ლ ი დ ღ ე მ ბ ი *)

... დამპყრობელები სამართლიანათ ხე-
დაედენ სილვაში თავის უდიდეს და ყველ-
ზე შეურიგებელ მტერს. მასში და ივნისში
მომხდარ დარბევის დროს მოხუცი სილ-
ვაც მეტეხში მოათავეს. მან მთელი ზაფხუ-
ლი ციხეში გაატარა, ხოლო როცა მისმა
გატეხილმა ჯანმა და მოხუცმა სხეულმა
ვერ აიტანა ახალი საკატორღო რეჟიმი და
სექტემბრის პირველ რიცხვებში მეტეხში
მძიმე ავით გახდა, დიდის ვაიფავლახით მო-
ხერხდა სილვას თავის საკუთარ ბინაზე
კოლმედილთან გადმოყვანა. ჩვეს ზედ მხე-
დველობა ამ შემთხვევაშიაც ძალაში დარჩა.

ვერც მოასწრო სილვამ გამომჯობინება,
რომ მას ახალი უბედურება დაატყდა თავს.
მეტეხში გარდაიცვალა ამბ. პარმენ ჭიჭი-
ნაძე. ამან ავითმყოფზე დიდი გავლენა მო-
ახდინა და თუმც ექიმებმა აუკრძალეს, მაგ-
რამ მაინც გადასწყვიტა თვით მიეღო მონა-
წილეობა პარმენის დასაფლავებაში. 10 ოქ-
ტომბერს სილვას ველარ იცნობდით.


9 ოქტომბერს პარმენის დასაფლავებაზე ნახულ პროცესიას სილვანზე მოეხდინა
საოცარი შთაბეჭდილება. ათრთოლებული ზმით, ცრემლმორეული, იმედების ცეც-
ხლით გვიამბობდა ის 10 ოქტომბერს, რომ ქართველ ხალხს ვერ მოადრეკს დამპყრობი
ძალა და საქართველოს დემოკრატიის გამარჯვების ეაში დაჰკრავსო. მასში გაცო-
ცლებულიყო ახალგაზდური გატაცება. აღმდგარიყო რევოლიუციონერი ენერგია და
ეს ენტუზიაზმი იმდენათ მომხიბლავი, იმდენათ გადამდები იყო, რომ ყველას გაათ-
ბობდა, ყველას მის გარშემო თავს გვიყრიდა, ენერგიას გვმატებდა და ჩვენი გზის სის-
წორეს გვიმტკიცებდა.

ორი-სამი დღის შემდეგ სილვას ბინას ჩვეა ესტუმრა. პარმენის დასაფლავების
მეორე დღესვე მან გადასწყვიტა სახლში არ მოეცადა და არალეგალურ მუშაობაში
ბელმძღვანელის როლი ეკისრა. ის არ ფიქრობდა თავის ავითმყოფობაზე, ის არ ფიქ-
რობდა, თუ მისი გატეხილი ჯანი რამდენათ აიტანდა დღევანდელ არალეგალურ ცხო-
ვრების საშინელ პირობებს.

... ციხეში დასუტებული და ავითმყოფობისაგან მოტეხილ სილვას სხეულს
ესაქიროებოდა ნორმალური მოვლა და ექიმობა. არალეგალურ პირობებში ის ამას
საესებით მოკლებული იყო. ის თავის ერთადერთ ვაჟს ვალიას და მეუღლესაც ვერ
ნახულობდა. ჩვეა ვაფაციცებით ადვენებდა მათ თვალუფრს და საშუალებას უსპობდა
შვილს და კოლს ავითმყოფი ენახათ, თან გააფთრებული რეაქცია ხშირათ ბინების გა-
მოცვლას მოითხოვდა. მოხუცი სილვა იძულებული იყო სარდაფიდან სარდაფში
გადიბარგულიყო. იანვარში კი მას შესამჩნევათ დაეტყო გულის სისუსტე და ბინებზე
ფეხით გადასვლა უჭირდა.

5 თებერვალს მომხდარ საქართველოს სოც.-დემ. მუშ. პარტიის კონფერენციაზე
ის თავის ფეხით მოვიდა. გზაზე გული შეუწყუხდა. ამ საღამოს მისი სიტყვა იყო ბრძო-
ლის ყიყინა. მიუხედავათ სისუსტისა, მასში ისმოდა ძველი ლომი, გაუტეხელი რევო-
ლიუციონერი და ყველა ჭირის ამტანი მებრძოლი, რომელიც თავდავიწყებით მისი-
წრაფის წინ, რადგანაც სწამს გამარჯვება! საქართველოს სოციალ-დემოკრატიამ ამ

*) გადმოთქმულია საქართველოში სოც.-დემ. პარტიის ცენტ. კომიტეტის მიერ
1922 წ. გამოცემულ ბიულეტენ სსილიბისტრო ჯიბლაძე-დან.



დღეს სილვას მისასალმებელ სიტყვაში სამწუხაროთ გაიგონა გამოთხოვებაც ძველი მასწავლებლისა. ამ დღიდან მას გულის ფრიალმა უმატა. დასჩემდა სურვილიყო ყოველ დღე ენახა ამანაგები, მოეწყო ახრთა გაცვლა-გამოცვლა. მათთან ერთად ყოფილიყო და არ განშორებოდა. ყოველ შემთხვევაში თითო-ორჯელა ამანაგებს მაინც არ იშორებდა. ჩვენთვის აშკარა შეიქნა, რომ სილვას დღეები დათვლილი იყო. ხშირათ მის მთელი ღამეები არ ეძინა და თავისი ხანგრძლივი ბრძოლის წარსულიდან მის გონებუბს გვიზიარებდა. თან მარქსისტულ ლიტერატურასაც არ შორდებოდა. ის უკანასკნელ წუთებამდე შეტრია რევოლუციონური მარქსიზმის გზას და დემოკრატიის იდეას. მას არ ესმდა სხვა გზით ქართული ერას განთავისუფლება და მუშათა დემოკრატიას, როგორც ყოველთვის, ერთადერთ ძალათ სთვლიდა, რომელიც მომავალ ბრძოლაშიაც გაუწევს ქართველ ხალხს მებაიროლტრობას. მთელი მისი ენერჯია, მთელი მისი ორგანიზატორული ნიჭი და რევოლუციონური სინდისი მიმართული იყო იმისკენ, რომ ერთს უდიდესო ტრაგედიის დროს მთელი ხალხის სასიცოცხლო ძალები, განურჩევლათ მიმართულდნისა, დაერახნა ერთ ბანაკში და შეკავშირებული ძალებით შეეტია მტრისათვის.

... უკანასკნელ დღეებში სილვა ხშირათ იგონებდა იმ სამხედრო ორგანიზაციის ისტორიას, რომელიც მისი ხელმძღვანელობით მუშაობდა 1905—6 წლებში. ერთ საღამოს ჩვენთან მოვიდა ამხ. ტრია, რომაც სილვა ძალზე გაახარა. მას მოაგონდა ძველი ტერორისტული აქტები. მოაგონდა როგორ დაარბა არსენ ჯორჯიაშვილი, რომ ყუმბარის სრაილის შემდეგ რევოლუციონერ არ ეხმარა და თვით გრიბანოვის მოკვლის დღეს შორიბლოდან როგორ ადევნებდა თვალყურს აქტის შესრულებას.

16 თებერვალს მთელი ღამე არ გვიძინია, ის ოცნებობდა თავისუფალ საქართველოზე და გადახალისებულ. ახალ რიგებით გამაგრებულ საოციალ-დემოკრატიანზე.

მეორე-მესამე დღეს მას გულის ფრიალმა უმატა. სახზე გახდა, ცოტა ნერვიულადა დაიწყო. მოინდომა ცოლ-შვილის ნახვა. 15 თებერვალს სილვას მდგომარეობა გაუარესდა. მას გული უწუხდებოდა და სუნთქვა უძნელდებოდა. ამავე დროს ბინის გამოცვლაც აუცილებელი შეიქნა, სილვა ადგა და უკანასკნელი ძალები მოეკრიფა. ამან და ჩქარა მისი აგონია. მეორე დღეს ის იწვა. 16—17 თებერვალს გულის ფრიალმა იმატა და სილვა ძალზე დაუსტდა.

17 თებერვალს 9 საათზე გულის ფრიალი სიძლიერით გაუმეორდა. მან გრძნობა დაჰკარგა და ერთი საათის შემდეგ სული დალია.

მაგრამ არც მკვდარის დატოვება აღირსა მის ამანაგებს და ცოლ-შვილს წითელ კანიანმა ველურებმა, მკვდარი სილვაც კი საშინელება იყო მათთვის. ჩვენს აგენტების მტარეაღური ბელები შეეხო წმინდა სხეულს და საქართველოს მუშათა კლასს ამით ერთი უდიდესო შეურაცხყოფა კადვე მიაყენეს. დეე ყოველივე ეს ბოღმათ იყვეს ჩვენს გულში, ხოლო სილვას ანდერძი იმედის ყიყინათ გვესმოადეს და მისებრ თავგანწირულათ მივაქაქანებდეს გამარჯვებისკენ. სილვას საფლავი ჩვენი გულია.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ლ ო მ თ ა თ ი მ ე .
(1881—1924)

ერთი წლის შემდეგაც არ შემძლია დავიჯერო, რომ ვერ ვიხილავ, მის მაღალ შენღს, ზედ დაყრილ ხშირ თმას შეჭურჭურებულს, ვერ მოვისმენ მის მკაფიო და ძლიერ ხმას, საესეს სიმტკიცით და გაბედულებით. და რათ ან ვინ მოუხწრაფა მას სიცოცხლის დღენი?

შორს თავის ქვეყნიდან და თავის ოჯახიდან გამოესალმა. თუ გამოასალმეს წუთი სოფელს ეს დიდი ადამიანი. ასეთი გატაცებით მოეყარული თავის ერის.

ალექსანდრე ნამდვილი ქართველი იყო: ლბინშიაც და პირშიაც განუყრელი, განუშორებელი, მთლიანი, უხადო, ბრძოლაში შეუდრეკელი, საზოგადო ასპარეზზე—წრფელი და პატიოსანი, დამოუკიდებელობის გატაცებული დამცველი და კერძო ცხოვრებაში ნამდვილი, სამოა და სამეგობრო ადამიანი, კარგი მეოჯახე, კარგი მესაზღვრო. საუკეთესო ამანაგი. შინ და გარეთ, პატარა და დიდ საქმეში ერთნაირი, მთლიანი, ურყევი, ტკბილი და ძლიერი.

ამით დაიმსახურა მან საერთო სიყვარული ყველასი, ვინც მას იცნობდა, ვისაც მასთან საქმე ჰქონია.

ლარიბი ოჯახის შვილი, სიღარიბეში აღზრდილი ალექსანდრე, საკუთარი ძალღონით და შრომით იკაფავს ცხოვრების გზას. ბავშვის განსაკუთრებულ ნიჭმა სოფლის სკოლაში მიიპყრო მასწავლებლების ყურადღება და მათის მეოხებით მოთავსებულ იქნა ერთ თვლილისელ ექიმის ოჯახში, სადა პატარა ალექსანდრე ექიმის შვილის როლს ასრულებდა. ხოლო თავისუფალ დროს მეცადინეობას ახმარდა. მიუხედავად ამისა გიმნაზიაში საუკეთესო მოსწავლეთ ითვლებოდა; როცა უფროს კლასებს მიადწია, დაიწყო «რეპეტიტორობა», რითაც თავი გააქონდა უნივერსიტეტის გათავებამდე. ჯერ კიდევ გიმნაზიაში ყოფიის დროს ალექსანდრე ჩაება სოც.-დემოკრატიულ მოძრაობაში, ხოლო ხარკოვის უნივერსიტეტში, სადაც ის სწავლობდა, სტუდენტების მოძრაობას ხელმძღვანელობდა და ერთ-ერთ საუკეთესო ორატორათ ითვლებოდა. ამავე დროს ის ქართულ სოც.-დემ. პრესაში თანამშრომლობდა. უნივერსიტეტის დათავების შემდეგ კი ერთიანთ პარტიულ მუშაობაში ჩაება.

მისი ორატორული ნიჭი და ნათელი აზროვნება იზიდავს მუშათა ყურადღებას და უბოვებს მას პოპულარობას.

არაღვგალურ მუშაობასთან ერთად, ის ლეგალურ ასპარეზსაც არ სტოვებდა და ყველგან, სადაც პარტია დაავალებდა, თანამშრომლობდა. ომის დროს ჩვენ მას გზედევთ თვლილის ხმოსანთა იმ მცირე ჯგუფში, რომელიც დემოკრატიულ ოპოზიციას აწარმოებდა სოც.-დემ. პარტიის ხელმძღვანელობით და დირექტივებით. აქ ალექსანდრემ თავის ორატორობით და საქმიან კრიტიკით კიდევ უფრო გაზარდა თავის ავტორიტეტი. რევოლუციის დღეებში ის უკვე საყოველთაო აღიარებული ბელად-თავანი იყო. საყვარელი მუშათა კლასის და პარტიის. ამიტომ ის ყველა უმაღლეს რევოლუციურ ორგანოებში იყო არჩეული, და დელეგატათაც გაიგზავნა თვლილისიდან პეტერბურგში სრულიად რუსეთის საბჭოთა ყრილობაზე.

მისი რევოლუციური კარიერა შემდეგ სულ მაღლა-მაღლა მიდის. თვლილისის საბჭოს ხმოსანი და თავმჯდომარე, წევრი პარლამენტის, წევრი და თავმჯდომარის უფროსი ამზანავი და მფუნძნებელ კრებაში, სადაც ის ფაქტიურათ თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებდა, რადგან კ. ჩხეიძე, თავმჯდომარეთ არჩეული, საზღვარ-გარეთ იყო განსაკუთრებული მისიით გაგზავნილი. აქაც ალექსანდრემ საესებით გამოიჩინა ყველა დადებითი თვისებები თავის მაღალ ბუნების. მიუდგომელი თავმჯდომარე, იშვიათი ტაქტით ხელმძღვანელობდა იგი დებატებს. და საერთო სიმპატია პოლიტიკურ წრეებში იყო კიდოდო ამ ახალგაზრდა მოღვაწის ამ მაღალ და საპასუხისმგებლო პოსტზე.

თავმდაბალი და უბრალო. ის ყველასათვის მისაწვდომი იყო. მარა ამ თავმდაბლობაში ერთხელაც არ დაუბრია ძირს მაღალი დროში იმ ვალდებულების, რომელიც მას აწუა. ერთნაირის უბრალოებით ასრულებდა ის ერთსა და იმავე დროს ამ მაღალ ფუნქციას და თავის პარტიულ მოვალეობასაც, რომლის მუშაობაში განუწყვეტილი იყო ჩაბმული.

იგი არსად წინ არ მიიჭაჩებოდა, მარა ბუნებრივთ თავის ნიჭით. ცოდნით, გამოცდილებით ამ წინა ადგილებზე ზედებოდა პარტიის საერთო სურვილით, როგორც უდავოთ ღირსი დიდი ნდობის და მაღალი მოვალეობის.

საქართველოს განკდის შწარე დღეებში ბათუმში, როცა აზრი და გონება ვეღარ ერეოდა მოზღვაებულ დარდს, წყრომას, აღშფოთებას, ნალველს. იგი სრულის შგნებით და მისთვის ჩვეულის სიმარტივით სწყვეტს ს. ჯიბლაძესთან ერთად დარჩეს სა-



ქართველში მიუხედავად იმ საფრთხისა, რომელიც მას მოვლის და ამით მისცეს მაგალითი პარტიულ ამხანაგებს და მოღვაწეებს თავის წმინდა მოვალეობისა ამ კრიტიკულ მომენტში. პარტიულ კრებაზე, სადაც თავი მოიყარა პარტიის თითქმის ყველა აქტიურმა ძალებმა, მისმა წრფელმა მოწოდებამ საბოლოოდ შეატრიალა სულიერი განწყობილება და ერის ბედის განაირების მტკიცე სურვილი ჩაუნერგა გულში აღუღებელ მასსას. პარტიის მოღვაწენი გაყვენ მის მაგალითს. და აქ ამ კრებაზე, მის მხრე-ვალე სიტყვაში და საქმეში ჩაისახა, თუ გნებავთ მთელი ის ეპოქა სოც.დემ. მოღვაწეობის, რომელსაც ეხედავთ შემდეგ საქართველოში.

მარა ჩვენი საყვარელი ალექსანდრე კი მსხვერპლი გახდა თავის მოვალეობის. ჩვეის ძალები როგორ დაარჩენდენ საქართველოს ნიადაგზე ასეთ ზნეობრივ ძალას, ასეთ სიტყვის და საქმის გამაერთიანებელ მოწინააღმდეგეს.

მას თავიდანვე გაფაციცებით დაეძებდენ, სდევდენ და პირველი დატუსაღება მისი 1921 წლის მაისში შეიქმნა უკანასკნელ დატუსაღებათ. მისი სახე აღარ აჩვენეს ქართველ საზოგადოებას.

1922 წელს ის სუბდალის ციხეში გაგზავნეს სხვა მძევლებთან ერთად, შემდეგ დასუსტებული, დაავითმყოფებული, — რადგან მას მალე გამოაჩნდა შედეგები ბავშვობიდან ლარიბ-გაპირებული ცხოვრების — გულის სისუსტე და ფილტვების დაზიანება — ის ციხე სუსხიან ჩუვაშების ქვეყანაში გაგზავნეს. სადაც მას ერთ მიყრუებულ სოფელში მიუჩინეს ბინა. და რომ თავი ერჩინა, ის იძულებული იყო შუშის მშობლათ დადგომოდა ჩუვაშის პირველყოფილ ადამიანებს. ამ ტანჯვამ და წამებამ საბოლოოდ გასტეხა მისი უკანმართელობა.

და როცა შემდეგ იგი ტაშკენტში გადაიყვანეს — მისი სიცოცხლე უკვე განახევრებული იყო.

საქართველოს აჯანყების შემდეგ იგი აქ ციხეში ჩასვეს, არსად გავვექცესო და უდროოდ წუთისოფელს გამოასალმეს.

ხოცი მოკლეს, მარა მისი სული ერთხელაც არ შერყეულა. პირიქით ის იქ სხვა გადასახლებულთ ამხნეებდა და რევოლუციურ ბრძოლის გზაზე მტკიცეთ დგომას უქადაგებდა. საქართველოს განთავისუფლება იყო მისი ოცნება და უკანასკნელი სიტყვა.

დატანჯული და განაწამები, როგორც თვით ქართველი ერი, იგი მისი დაღბინების ხანაში უშალეს თანამდებობაზე იყო მოწოდებული ერის სასამხსაფროთ, როგორც ღირსეული მოღვაწე; ხოლო როცა მის სამშობლოს შავი დღეები დაატედა, მან მისი ტანჯვა-ვაება გაიზიარა და მსხვერპლათ შეეწირა თავის საყვარელ იდეას. საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას.

ამიერიდან მისი სახე სამარადისოდ აღბეჭდილია ამ ბრძოლის ისტორიის ფურცლებზე. ჩვენ, მისმა ამხანაგებმა მასში წრფელი და საყვარელი მეგობარი დაგვარგეთ. ერმა დიდი მოღვაწე და თავდადებული შვილი. საქართველოს ისტორიამ კი მოიპოვა ერთი უდიდესი აკლამათავანი. მარად მოსავონი და მისაბაძი.

ბ. ა.

კონსტანტინე აფხაზი.

ავვისტო-სექტემბრის წლისთავეზე ჩვენ ბუნებრივად გვაგონდება ის თავდადებული მებრძოლი, რომელიც ემსხვერპლენ თავის ქვეყანას 1923 წლის მაისში. 15 კაცი, მათ შორის 11 მხედარი, დახვრეტილ იქნენ ჩეკისტების მიერ თფილისში პარიტეტულ კომიტეტში მუშაობისათვის. სამშობლოს სახელოვან გმირთა რიგებს ამშვენებენ მათი სახელები. აქ კონსტანტინე აფხაზის გვერდით დგანან ვარდენ წულუკიძე, ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, გიორგი ზიმშიაშვილი და სხვები, რომელთა ამაყი სიტყვები ანდერძათ გადმოცემული, სამუდამო სახელმძღვანელოთ დარჩება ქართველ მებრძოლთათვის. ესენი იყვენ წინამორბედნი ავვისტო-სექტემბრის თავდადებულ ბრძოლის და დაუვიწყარ მსხვერპლების. ყველას სათითაოდ დახასიათება აქ უადგილობის გამო შე-

უძლებელია. ჩვენ აქ გვინდა მხოლოდ ორიოდ სიტყვით ვცეთ პატივი კონსტანტინე აფხაზის ხსოვნას.

კ. აფხაზს სპეციალური სამხედრო განათლება ჰქონდა მიღებული, მაგრამ ის უფრო საზოგადო მოღვაწე იყო. ამ სიტყვის ფართე მნიშვნელობით, ვინც სამხედრო სპეციალისტი. ის ადრევე ჩაება საბანკო მოღვაწეობაში. მონაწილეობდა ქართულ კულტურულ საქმეებში, აქტიურ როლს თამაშობდა საერობო თათბირებში, მეთაურობდა აღმოსავლეთ საქართველოში სათავად-აზნაურო დაწესებულებებს: 1910-დან 1917 წლამდე არჩეული იყო თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მარშალთ. რევოლიუციის დასაწყისს მისი ინიციატივით იყო, რომ საქართველოს თავად-აზნაურობამ მთელი თავისი წოდებრივი ქონება ქართველი ერის უმაღლეს ორგანოს—მაშინდელ ეროვნულ საბჭოს—გადასცა. იმ თვითვე კ, აფხაზი ენერგიულ მონაწილეობას იღებდა ქართულ ეროვნულ საქმეების მოგვარებაში და ერთი დამაარსებელთაგანი იყო პირველ ეროვნულ საბჭოსი. განსვენებული შედიოდა საქართველოს პარლამენტში, როგორც უპარტიო. დამოუკიდებლობის უქანსაყენელ წლებში ის მომეტებულათ სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში (სავაჭრო პალატაში, ბანკში) მუშაობდა. საქართველოს დაპყრობისას კ. აფხაზი სამშობლოში დარჩა და მალე ჩაება ენერგიულათ არაღვეალურ მუშაობაში; ბოლო ხანებში ის იყო ეროვნულ-დემოკრატიულ ცეკას თავმჯდომარე და პარიტეტულ კომიტეტის წევრი.

კოტე აფხაზის მოღვაწეობის ხაზი არც რევოლიუციამდე, არც რევოლიუციის შემდეგ არ უახლოვდებოდა ჩვენი პარტიის ხაზს; ჩვენსა და მის პარტიოტიზმს სხვა და სხვა სოციალური შინაარსი ჰქონდა, პოლიტიკურათ ის ჩვენი მოწინააღმდეგე იყო. მაგრამ ეს ვერ დაგვიშლის აღწინააღმდეგე ამ უმწიკვლო საზოგადო მოღვაწის მაღალი თვისებები, რომლებმაც მას პარტიისცემა და სიმპატია მოუპოვა ქართველი საზოგადოების ყველა წრეებში. მრავალმხრივი განათლება, მაღალი კულტურა ძველ ქართულ კეთილშობილებას შედუღებული, დიდი ჰკუა-გონება, იშვიათი ტაქტი, ღრმა პარტიოტიზმი, მაღალი ზნეობრივი თვისებები—აი რა ახასიათებდა მას.

თფილისის თავად-აზნაურობის მარშალმა აახლოვებდა მას ძველი რეჟიმის უმაღლეს წრეებთან კავასიაში, მაგრამ მას სამშობლოსადმი ღრმა სიყვარული არ მიუტანია მსხვერპლად თავისი კარიერისათვის. ვის არ ახსოვს მისი კონფლიქტი ნამესტნიკის წრეებთან, ან მისი ცდა ქართველ დემოკრატიულ წრეებთან. კერძოთ მაშინ არაღვეალურ სოც.-დემოკრატიულ პარტიასთან შეთანხმებისა ომის დასაწყისში, როცა თფილისი ოსმალოს შემოსევის საფრთხეს წინაშე იდგა.

ჩვენი ვალია მოვიგონოთ დღეს აგრეთვე მისი ადამიანური ჩარევა ძველი რეჟიმის ღრმს პოლიტიკურ ტუსალების, კერძოთ განსვენებულ ნოე ხომერიკის, ბედის შესამსუბუქებლათ.

კ. აფხაზი საკმაოთ ჰქვიანი და განათლებული კაცი იყო, რომ ახალი დროის მოთხოვნილებები შეეგნო; ამით აიხსნება მისი როლი სათავად-აზნაურო ქონების ქართველი ერისთვის გადაცემაში. საქართველოს მთავრობას ის ოპოზიციაში უდგა და არ ცნობდა შესაძლებლად საპასუხისგებლო პოსტი მიეღო, მაგრამ ყოველთვის ეხმარებოდა მას—განსაკუთრებით ფინანსიურ სფეროში—თავისი რჩევით და გონიერი სიტყვით...

საქართველოს დაპყრობის შემდეგ კ. აფხაზი, რომელსაც არასოდეს ჰქონია კავშირი არაღვეალურ მუშაობასთან, თავის ვალათ სთვლის სამშობლოს წინაშე ჩაებას ეროვნულ ბრძოლაში და ჩადგეს შეთქმულთა რიგებში. 19 მაისს ჩეკის ჯალათებმა ის საქართველოს სამსხვერპლოზე აიყვანეს...

სიკვდილს ის შეხვდა, როგორც შეეფერება დიდ სულოვან. ქვეყნის წინაშე აღსრულებულ მოვალეობის შეგნებით გამსჭვალულ ქართველს: სრულის სიაშვიდით და ღრმა რწმენით, რომ მისი მსხვერპლი და მაგალითი უშედეგოთ არ დარჩებოდა.

კ. აფხაზის ხსოვნა სამარადისოდ ძვირფასი იქნება ყველა ქართველისათვის, რწმენისა და მიმართულების განურჩევლად...

პ ა ს უ ლ ს მ ი ვ ე ი თ ხ ე ჳ ე თ .

სად მოკლეს და სად დამარხეს ნოე ხომერიკი. ბენია ჩხიკვიშვილი, ვასო ნოდია, გოგიტა ფალავა და გიორგი წინამძღვრიშვილი? ერთი წელიწადია ბოლშევიკები სდუმან და ამ საშინელ ტრაგედიას არ ამკლავებენ. ჩვენ ვიცით მხოლოდ ის, რომ ესენი იყვნენ სუზდალის ციხეში. აჯანყების დროს იქიდან წამოიყვანეს, მათთან ერთად უნდოდათ წამოყვანა ლარტიქიანისძის, ჯიბლაძის და დგებუაძის მოსაკლავათ. მარა ამ საქმეში ჩაერივნ და სამი ამხანაგი გადაურჩა ჯალათებს. ხუთი კი მოიყვანეს მოსკოვში, ნახეს ისინი კურსკის ვოგზალზე. საიდანაც იგზავნებოდენ როსტოვისაკენ. როსტოვში კი მათი კვალი აღარ სჩანს. მოკლული არიან, მაშასადამე, მოსკოვს და როსტოვს შორის რომელიმე სადგურზე. სად მოკალით ჯალათებო? რა უყავით მკვდრებს? სად გაუთხარეთ საფლავი? მოვითხოვთ პასუხს.

საქ. ს.-ი. პარტიის ხანჯვარ-გარეთელი ბიურო.

ნ ე ე ხ ე მ ე რ ი კ ი .



გასულ წელს ჩვენ მრავალი ამხანაგი დაეკარგეთ. მათ შორის, ეჭვს გარეშეა, პირველი ადგილი ნოე გიორგის ძე ხომერიკს უჭირავს.

ის დაიბადა ს. მიქელგაბრიელში (გურია) 1882 წელს ღარიბი გლეხის ოჯახში, 1901 წელს მან დაამთავრა ქუთაისის სამეურნეო სკოლა, სადაც ის არალეგალურ წრეებში გაეცნო სოციალისტურ მოძღვრებას და მიეყვდლა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. 1902 წელს გურიაში გლეხთა მოძრაობამ იფეთქა. და აი ნოე ხომერიკიც, რომელიც იმ ხანათ ცნობილ მემამულე მიშა ნაკაშიძესთან მსახურობდა, მოძრაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებს. ის დაპატიმრეს და რამოდენიმე თვე ქუთაისის ციხეში მოათავსეს. 1902 წ. ნოემბერში ბათუმში იმ ხანათ მომუშავე სოციალ-დემოკრატთა ჯგუფს შეემატა ნოე ხომერიკი. ვინც მას ახლო უკვირდებოდა, აშკარათ ხედავდა, რომ

მასში ძლიერი პირი იმარხებოდა. ის იზრდებოდა ყოველ-წუთს, უკვირდებოდა მუშათა ცხოვრებას, კითხულობდა არალეგალურ და ნებდართულ წიგნებს და მუდამდღე უფრო და უფრო ვითარდებოდა. როგორც ყველა ჩვენგანი, ის პროპაგანდისტის როლს ასრულებდა. ზოგი ჩვენი ჯგუფიდან თავს კერძო ვაკვეთილებით ირჩენდა, ხოლო ნოე ხომერიკი მანთაშევის მეორე ქარხანაში დღიურ მუშათ მოეწყო. მიუხედავად მძიმე ფიზიკური შრომისა, ის პოულობდა თავისუფალ დროს გულდასმით გაეცნობოდა საპროპაგანდო-სააგიტაციო მასალას და შემდეგ მუშათა წრეებისათვის გადაეცა. რომ გაეადვილებია ბათუმის სოციალ-დემოკრატიულ კომიტეტისათვის საკუთარი

არალეგალური სტამბის მოწყობა. ნ. ხომერიკმა შეისწავლა აწყობა და ამ გზით ორგანიზაციას უდიდეს სამსახურს უწევდა. სულ ორ-სამ თვეში მოწინავე მუშათა კორპორაცია მან იმდენათ შიიპყრო, რომ ის მიიწვიეს ბათუმის კომიტეტის წევრათ. 1903 წ. ნაფხულში ორგანიზაციის დადგენილებით მან დასტოვა ბათუმი, სადაც მას სასტიკათ ეძებდენ და ვადავიდა იმერეთში. სადაც უკვე არსებობდა კომიტეტი, მაგრამ მას არ ჰქონდა ფართე კავშირი განშუღლი მუშათა და გლეხთა წრეებთან. იმერეთის სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციის მოწყობა წილათ ზედა ნოე ხომერიკს. მან ყველა რაიონში და შთავარ საოფლებში შექმნა მჭიდროდ ორგანიზაციები და ერთი-მეორეს დაუტ ვშირა როგორც ქუთაისის, ისე შორაპნის მაზრებში. რომ სხვებისთვისაც გაეადვილებია გლეხთა შორის პრპაგანდა, მან შეადგინა წიგნაკო «სოფლის მუშათა მიმართ, რ. მუღლიც კავკასიის საკავშირო კომიტეტმა გამოსცა. ის ყველა პრპაგანდისტისთვის აუცილებელი სახელმძღვანელო შეიქნა. 1904 წ. ის შორაპნის მაზრაში შეიპყრეს და ქუთაისის ციხეში ვაგზავნეს. ამ დროს მისი პიროვნება გლეხთა შორის იმდენათ პრპულიარული იყო, რომ იმერეთის სოციალ-დემოკრატიულმა კომიტეტმა სოციალ-დემოკრატიულმა კომიტეტმა მოთხოვნით გადაწყვიტა მისი განთავისუფლება. ასეც მოხდა. ქ. ქუთაისის ციხეში გამგზავრებისას მხლებელ დარაჯთა გუნდს თავს დაესხა შეიარაღებულ რევოლიუციონერთა რაზმი, ასტეხეს სროლა და განთავისუფლეს ნ. ხომერიკი და ორიოდე სხვა მასთან შეპყრობილი სოციალ-დემოკრატი. მან დასტოვა ქუთაისის რაიონი და შიპურა თფილისის ოქტომბერში თფილისის საკიალ-დემოკრატიულ კომიტეტის თითქმის ყველა ვავლენიანი წევრები შეიპყრეს. თფილისის მუშათა მორაობის სათავეში ნოე ხომერიკი ჩავდგა. ეს იყო ხანა პოლიტკუერი «გზაფხულისას», რევოლიუციის სუნი უკვე ტრიალებდა. ამავე დროს უფრო და უფრო ამკარავდებოდა ბლანკისტური ხანითი კავკასიის სოც.-დემ. ორგანიზაციის საკავშირო კომიტეტისა, რომელსაც იმ ხანათ მისა ცხაკიაა მეთაურობდა. აქ ვაკური თნდა აღენიშნათ, რომ ქართული მალალატენი, რომელთაც შთაკოვის ბრძანებით დახვრიტეს საქართველოს მუშათა მეთაური ნ. ხომერიკი, ცდილობენ მას და ზოგიერთ სხვებსაც ამ ხანის მოღვაწეობისათვის ბოლშევიკის იარღიკი მიპარან. ეს მათი ჩვეულებრივი თნდია, ისე, როგორც უკორჯიაშვილის მისაკუთრებით სურთ თავისი პარტიული აელადიდება ოსნავ მონც ვაზარდონ. დანამდელიებით ნ. ხომერიკი 1903-4 წლებში სხვა ამხანაგებებთან ერთათ ებრძოდა შინა ცხაკიას პოლიტკიკას. თუ ამ ბრძოლას არ ჰქონდა ვარჯვეული მენშევიკური ხასიათი, ეს იმიტომ, რომ განსხვავებამ ტაქტიკურ სფეროში ვ. წ. საერობო კამპანიის დაწყებდან იჩინა თავი 1904 წ. მიწურულში. ხოლო საორგანიზაციო საკითხებში რუსის ბოლშევიკ-მენშევიკები არსებითათ ერთსა და იმავე ხანზე იდგენ და დემოკრატიულ პრინციპს ამკარათ გმობდენ, რასაც თავიდანვე იცავდა და ახორციელებდა ამიერ-კავკასიის ყველა სოც.-დემოკრატიული ორგანიზაციები, განსაკუთრებით საქართველოში. თუ დღეს ქართველი ბოლშევიკები საოკუპაციო ძალა-უფლებით აგენტებს წარმოადგენენ და არა საქართველოს მუშათა მორაობის შტოს, ეს აიხსნება სხვათა შორის იმ ვარემოებითაც, რომ ნოე ხომერიკი და სხვა პარტიული ამხანაგები იმ ხანათ აწარმოებდენ ბრძოლას შიგნით ორგანიზაციაში მ. ცხაკიას პოლიტკიკის წინააღმდეგ, მაგრამ წინააღმდეგ რუსის მენშევიკებისა ერთდებოდენ ორგანიზაციის ვათიშვას, ვინაიდან ეს მუშათა ავარტობა ნაწილს მ. ცხაკიას ვაგნებდა.

1905 წ. აპრილში უცხოეთიდან ახლო დაბრუნებულ ნ. ქორდანისათვ მემჯდომარეობით მოხდა ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციების კონფერენცია, რომელნიც იმ ხანათ უკვე ამკარათ გამოეთიშენ საკავშირო კომიტეტს. ამიერიდან ბოლშევიკში ჩვენში მუშათა მოპრაობამ საბოლოოთ ვარცა. კონფერენციამ აირჩია ბიურო პოლიტკიკური მუშაობის სახელმძღვანელოთ, ხოლო რევოლიუციის მიერ წამოყენებულ ტენზიკურ საკიროებათა მოსაგვარებლათ სამხედრო ტენზიკური კომისია ნოე ხომერიკის თემჯდომარეობით. მას შემდეგ ნ. ხომერიკი პარტიის მეთაურთა ვჯუფს მუდამ ამკობს. 1906 წ. ბიურომ პარტიის ლეგალურ ორგანოს რედაქტორათ ლ. ნათაქესთან ერთათ აირჩია ნ. ხომერიკიც. ასეთმა ნაბიჯმა ზოგიერთ ლიტერატორთა ვზრიც უკმაყოფილება გამოიწვია, მაგრამ ყველანი მალე დარწმუნდენ რამდენათ სწორი იყო ასეთი არჩევა. ნ. ხომერიკი ღირსეული რედაქტორი შეიქნა. ამავე დროს ის აქტიურ მონაწილეობას იღებდა პარტიის საორგანიზაციო მუშაობაში. ის დაესწრო პარტიის ვამაერთიანებულ ყრილობას სტუკოლში 1906 წ. და აგრარულ საკითხის შესახებ კამათში მონაწილეობა მიიღო. 1908 წ. თფილისში ვერაზე შეიპყრეს სოც.-დემ.

კომიტეტი და მათ შორის ნ. ხომერჩიკი. რამდენიმე თვის დატუსაღების შემდეგ ყველანი ვოლოგდის გუბერნიაში გადაასახლეს. 1911 წ. ის დაბრუნდა საქართველოში და დაბინავდა ქ. ქუთაისში, სადაც იმ ხანათ გადატანილი იყო პარტიის ხელმძღვანელი ორგანო—საოლქო კომიტეტი გამუდმებულ რეპრესიების გამო ქ. თფილისში. იმ ხანათ პარტიული მუშაობა საქმათ მოდუნებული იყო. არა ერთი და არც მოწინავე მუშა მოიქანცა, ბრძოლის ველი დასტოვა და არალეგალურ პარტიის ლიკვიდაციებზე აღამოიქანცა. ნ. ხომერჩიკი ხელმძღვანელობდა. ამავე დროს ის რედაქტორობდა და ლეგალურ პარტიულ ორგანოს, რომელიც არალეგალურ ბინაზე მზადდებოდა და შემდეგ ლეგალურათ იბეჭდებოდა. მასვე დიეკისრა საარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელობა მეოთხე სახელმწიფო დუმაში. ნ. ხომერჩიკს არ გამოეპარებოდა მოწინააღმდეგე პარტიების და მეფის მთავრობის არც ერთი მახინჯია საარჩევნო სფეროში. პირველ ყოვლისა სწორეთ მის უნარს მიეწერება პარტიის გამარჯვება მეოთხე დუმის არჩევნებში.

1914 წ. მსოფლიო ომში იფეთქა. რა გზას უნდა დაადგეს სოციალ-დემოკრატია ამის გამოსარკვევათ ავგისტოში მოწვეულ იქმნა კონფერენცია, რასაც დაესწრენ სხვათა შორის განსვენებული სილ. ჯიბლაძე, ნ. ხომერჩიკი და ალ. ჩიქავა. კონფერენციამ ომი იმპერიალისტურ ძალთა შეჯახებათ მონათლა, რასაც უნდა მოყვეს «ხანა სოციალურ კატაკლიზმების, პოლიტიკურ რევოლიუციების და დამარჩილებულ ერთა განთავისუფლების». კამათში ორატორებმა აღნიშნეს კავკასიის რუსეთის იმპერიიდან გამოყოფის შესაძლებლობა. ასე დაიხსნა დამოუკიდებლობის საკითხი. მაგრამ პარტიის ვალი იყო თავიდან აეცილებოდა ყოველგვარი ავანტიურა, რაც ქართველ ერს გაცილებლას უქადდა. 1914 წ. დეკემბერში ენვერ ფაშის შემოტევა დაიწყო. კავკასიის ადგილობრივი მთავრობა გასაქცევათ ემზადებოდა. ნაციონალისტურ წრეებში დიდი ფაცაფუცი შეიქნა და მეფის მოადგილის თანამემწის მიშლავესკის წინადადებათ დროებით მთავრობის შედგენასაც ლამობდენ. სოც-დემოკრატულმა საოლქო კომიტეტმა, რომელიც იმ ხანათ ისევ თფილისში იყო მოთავსებული, ნ. ხომერჩიკის მონაწილეობით გადასწვციტა ასეთ წინადადებას შებრძოლებოდა და დაკმაყოფილებულიყო კომისიის არჩევით სურსათის გასაწესრიგებლათ და წესრიგის დასაცვლელათ.

ჩვენმა ორატორმა თავადაზნაურთა საკრებულო დარბაზში განსვენებულ კ. აფხაზის თავმჯდომარეობით მოწვეულ კრებაზე ეს ახრი განავითარა და ხანგრძლივი კამათის შემდეგ ყველა დამსწრენი მიიმბრო.

1916 წ. ადმინისტრაციის განკარგულებით ნ. ხომერჩიკი აღმოსავლეთ ციმბირში გადაასახლეს. იქიდან ის თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა და ჩვეულებრივ თავდადებით პარტიულ მუშაობაში ჩაება. გლეხთა შეკავშირება საქართველოში მისი პირდაპირი ხელმძღვანელობით ხდებოდა.

1918 წ. მარტში მოწვეულ იქმნა ამიერ-კავკასიის სეიმი და ევ. გეგუქორის მეთაურობით შედგა ამიერ-კავკასიის მთავრობა, რომელშიც ნ. ხომერჩიკმა მიიღო მიწათმოქმედების პორტფელი. ამ თანამდებობაზე ის შერჩა დამოუკიდებელ საქართველოს მთავრობაშიც 1920 წ. შემოდგომამდე. თუ ბოლშევიკურმა ანარქიამ ფეხი ვერ მოიდგა საქართველოში. ეს პირველყოვლისა აგრარულ რეფორმის განხორციელებას მიეწერება, რაც ნ. ხომერჩიკმა იკისრა. ამ საქმეში მან თავისი დიდი ორგანიზატორული ნიჭი ერთხელ კიდევ გამოიჩინა. მან თავიდანვე წამოაყენა იდეა მიწის გლეხებზე კერძო საკუთრებათ გადაცემის შესახებ. ამით დამარცხდა ერთი მხრივ ბოლშევიკური დემაგოგია, ხოლო მეორე მხრივ ნარადნიკული უტოპია. სწორეთ ამ გარემოებას მიეწერება ის გაშმაგებული აგიტაცია, რასაც ნ. ხომერჩიკის სამინისტროს წინააღმდეგ აწარმოებდენ სოციალისტ-რევოლიუციონერები ლ. შენგელაიას მეთაურობით და ბოლშევიზანებით თ. ლლანტის მეთაურობით.

რაცა ნ. ხომერჩიკი სამინისტროდან გადადგა, ის წინანდებური ენერგიით პარტიულ მუშაობაში ჩაეფლა. ამ ხანაში ის ცენტრალურ კომიტეტის მთავარი პრაქტიკული მუშაკი იყო. თავისი საქციელით მან გზა გაუჟაფა ევროპიულ პარლამენტარიზმის საუკეთესო ტრადიციებს ჩვენში.

საბჭოთა რუსეთის ოკუპაციის შემდეგ ნ. ხომერჩიკმა საქართველო მთავრობასთან ერთათ დასტოვა. ის დაინიშნა პოლიტიკურ კომისიის თავმჯდომარეთ სტამბოლში. რომელშიაც შედიოდენ საქართველოს ყველა პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლები და რომელიც საქართველოსთან მიწერ-მოწერას და იქ განმთავისუფლებულ

ორგანიზაციების მოწყობას ხელმძღვანელობდა. 1922 წ. ოქტომბერში ნ. ხომერჩი სპარაჯელოში ჩავიდა, რომ პირადად უბელმძღვანელოს განმათავისუფლებელ მოძრაობას. მან სწრაფად აღადგინა მინგრეულ-მონგრეული პარტიული ორგანიზაციები, განამტკიცა პარტიათა შორის თანხმობა, და მოაწესრიგა დამოუკიდებლობის კომიტეტის მოღვაწეობა, მოკლეთ, მან ერთხელ კიდევ გამოიჩინა თავისი არაჩვეულებრივი ორგანიზატორული უნარი. ის ერთი დავკრით მებრძოლი ერის ფაქტური ხელმძღვანელი შეიქნა. ამას აშკარათ აღასტურებდა საქართველოს ყველა პოლიტიკური პარტია.

1923 წ. ნოემბერში ის დაატუსაღეს, მაგრამ არა მხოლოდ გარედ, არამედ ტყვეობაშიაც კი მას მაგრათ ეჭირა ოკუპანტებთან მებრძოლის დიდი დროა. ჩეკა და მისი აგენტები ქედს იბრიდენ ამ დიადი პიროვნების მტკიცე ნების წინაშე. 1924 წ. ივლისის დასასრულს ის გაისტუმრეს მკვლათ სუზდალში, ხოლო აჯანყების დაწყებისთანავე ის დააბრუნეს კავკასიისაკენ და მოსკოვის რაიონში სადღაც ქურდულად დახვრიტეს. ასეთია მოკლეთ ამ დიდებული პოლიტიკური მოღვაწის ხანმოკლე, მაგრამ იშვიათი ნაყოფიერი გზა.

თავისი პრაქტიკული მოღვაწეობით 1917 წლამდე მან სამართლიანად დაიმსახურა პარტიის ცნობილი ორგანიზატორის სახელი, თავისი კალმით მან მოიპოვა ლიტერატორთა შორის საპატიო ადგილი. თავისი მინისტრობით საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში მან მოგვცა ტიპი საუკეთესო პოლიტიკური მოღვაწის, რომელიც სწრაფად ერკვევა ახლათ შექმნილ პირობებში და თავის დიდ ორგანიზატორულ უნარს შესაფერათ იყენებს დემოკრატიულ სახელმწიფოს აშენების საქმეში.

დასასრულ, საოკუპაციო ხანაში მან გააკეთა გზაერის განთავისუფლებისა და მისთვის თავდადებისა. პარტიის მეთაური ჭეშმარიტათ ერის მეთაურიც შეიქნა.

ჯულაშვილებმა ფიციურათ მოიშორეს თავიდან მათი თავდადებული მოწინააღმდეგე და დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის საუკეთესო მებრძოლი. მით უფრო მეტი უფსკრული ამოთხარეს მათსა და საქართველოს მშრომელთა შორის.

ნოე ხომერჩიის დიდი ამაგი მომავალ თაობას უკუნიითი-უკუნისამდე გადაეცემა. მან საბოლოოთ დაიმსახურა დიდებულ ორგანიზატორისა და წამებულის უკუდავი სახელი.

ნ. რამიძევილი.

ბ ე ნ ი ა ხ ხ ი კ ვ ი შ ვ ი ლ ი .

ბ. ჩხიკვიშვილი დაიბადა 1881 წ. სოფ. საყვავისტყეში (გურია) ღარიბი ბუნაურის ოჯახში. სწავლობდა ქუთაისის სამეურნეო სკოლაში, საიდანაც 1900 წელს დაითხოვეს დასამთავრებელ კლასიდან არალეგალურ დროგამოშვებით გამოცემაში მონაწილეობისათვის. სკოლაში ის გაეცნო სოციალ-დემოკრატიულ მოძღვრებას, მონაწილეობას იღებდა მოწაფეთა არალეგალურ წრეში და მუირო კავშირი ჰქონდა ქუთათურ მესამე დასულებთან. სკოლიდან დათხოვის შემდეგ ორი წლის განმავლობაში მასწავლებლობდა სამრევლო სკოლაში სამეგრელოში, სადაც კარგ მასწავლებლათ ირიცხებოდა. 1902 წ. ქ. ქუთაისში გაიმართა დასავლეთ საქართველოს სამრევლო სკოლების მასწავლებელთა კურსები. ადგილობრივი სოციალ-დემოკრატთა წინადადებით ბ. ჩხიკვიშვილი აგრცლებს არალეგალურ ფურცლებს, რომელშიაც სოციალ-დემოკრატიული პარტია მოუწოდებდა მასწავლებელთ მხარი დაეჭირათ გლეხთა მოძრაობისათვის, რომელმაც გურიაში იფეთქა და მის გაერცლებისათვის სხვა მხარებში ხელი შეეწყო. ის დაასწინეს თ. კორდანიასთან, რომელიც კურსებს ხელმძღვანელობდა და დაუყოვნებლივ დაითხოვეს მასწავლებლობიდან. ის მაშინვე გაეშურა უიათურაში, სადაც განსვენებული განთქმულ ორატორ რაფიელ ჩიხლაძესთან ერთათ დღიურ მუშაობას ეწეოდა ოფიქის მალარობებში. იმავე წლის შემოდგომაზე ის ჩამოვიდა ბათუმში და სოც.-დემოკრატიული ორგანიზაციაში აქტიურ მოღვაწეობას შეუდგა. როგორც არაჩვეულებრივი მკვერმეტყველს, მუშათა წრეებში მას მუდამ დიდი გავლენა ჰქონდა და ყველგან მის მოსმენას ელტვოდენ. მოკლებული ნივთიერ სახსარს, ის დღიურ მუშათ შვეიდა მანთაშვიის მეორე (რიხტერის) ქარხანაში და იქ მუშებს კიდევ უფრო დაუახლოვდა. ამიტომაც იყო სულ ახლო ხანში ის მუშებმა ბათუმის კომიტეტში მიიწვიეს და აქ ტეხნიკურ საქმეთა ხელმძღვანელობა დააბისრეს. მან არაჩვეულებრივი ორგანიზატორის ნიჭი გამოიჩინა, რასაც სხვათაშორის შემდეგი მაგალითი ამტკიცებს. იმ ხანათ ბათუმის ორგანი-



ხაცია იმდენათ მძლავრი იყო. რომ მან პროპაგანდა უკარში გადაიტანა. ერთი ჩვენი ორგანიზატორი ამხ. იაშვილი ნაღმის გუნდმა გასცა. რამოდენიმე დღის განმავლობაში მას მოელოდა სამხედრო სასამართლო, მანამ კი სამხედრო სატელეგრაფოში მოათავსეს და იქ მცველთა გაძლიერებული რანში მიუყენეს. აუცილებელი იყო მისი გაქცევა, რომ ამ გზით ჩვენს სამხედრო ორგანიზაციას შესძლებოდა თავისი მუშაობის კვლავ გაგრძელება. ბ. ჩხიკვიშვილის წინადადებით ბათუმის კომიტეტმა დაადგინა ამხ. იაშვილის გასაქცევათ შესაფერ ხომების მიღება და ეს თვით ბენიას დაეკისრა. ყველა ეჭვობდა ასეთ შესაძლებლობას. წარმოიდგინეთ საყოველთაო განცვიფრება, როცა მეორე დღეს ამხ. იაშვილი კომიტეტის საიდუმლო ბინაზე გამოცხადდა. ბენია ხელმძღვანელობდა არა მხოლოდ საქმის ტენიკურ მართვობას. არამედ თვით ასრულებდასაც კი. მას შემდეგ სამხედრო წრეებიც განსაკუთ-

რებულ შიშს ვერაზობდენ ყოველის შემძლე ბათუმის კომიტეტის ანუ მხარცხანის გენერალ-გუბერნატორისა წინაშე, როგორც მას ფართო წრეებში ეძახდნენ.

1903 წ. გურიის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი მოეწყო ბინადრობით ქ. ბათუმში. ბ. ჩხიკვიშვილი გურიის კომიტეტის წევრათაც ითვლებოდა. გლეხთა შეკავშირებისა და მათ შორის აგიტაცია-პროპაგანდის საქმეში მას დიდი ღვაწლი მიუძღვის. აქ ის იყო ფრთხილი პროპაგანდისტი და გადაჭრით ერიდებოდა სარწმუნოებრივ საკითხებზე კამათის გამართვას, თუმცა მას მუდამ უხდებოდა, როგორც სხვებს «დრამის ფულის» წინააღმდეგ გალაშქრება. გურიის კომიტეტის დავალებით ბ. ჩხიკვიშვილმა მონაწილეობა მიიღო კავკასიის ორგანიზაციების მეორე ყრილობაზე 1903 წლის შემოდგომაზე.

1903 წ. 9 მარტს ბათუმის კომიტეტმა გაფიცულ მუშათა გაყვების წლის თავზე მთავრობის წინააღმდეგ ფართო დემონსტრაცია მოაწყო. ბ. ჩხიკვიშვილი მასში პირად მონაწილეობას იღებდა და იქ ერთ-ერთ ხელმძღვანელათ გამოდიოდა. 1904 წ. იანვრის ომის დაწყებისას ბათუმის ორგანიზაციამ გადაწყვიტა მთავრობის მიერ განხრახუნლ პატრიოტულ მანიფესტაციის ჩასაშლელათ საწინააღმდეგო დემონსტრაციის მოწყობა სობოროს წინ, სადაც პატრიოტთათ თვემყურა ხდებოდა, დემონსტრაცია მეტათ მრავალრიცხოვანი გამოდგა და მთელი ქალაქი ააფორიაქა. პატრიოტული მანიფესტაცია თუმცა მოაწყვეს, მაგრამ ის მეტათ მცირერიცხოვანი აღმოჩნდა; მდამიო მოქალაქე დაურთხა და მანიფესტაციაში მონაწილეობას იღებდა და პოლიციელებთან შეტაკებაც მოუხდა, როცა უკანასკნელნი შეეცადნენ რევოლიუციონური დროშის წართმევას, თუმცა ამათ. მას შემდეგ ქ. ბათუმში მისი გაჩერება შეუძლებელი შეიქნა. ის ქ. თფილისში გადავიდა და იქ არალეგალურ მოღვაწეობას შეუდგა. აქ მან ხელათ მიიქცია მოწინავე მუშათა ყურადღება, რომელნიც რაიონულ კოლექტივთა მიერ არჩევით თფილისის კომიტეტში შედიოდნენ და კოოპრაციის წესით ხელმძღვანელ ორგანოში პროპაგანდისტთა მოწვევის უფლებას ქონდათ. ბ. ჩხიკვიშვილი რამოდენიმე კვირის განმავლობაში თფილისის კომიტეტის წევრი შეიქნა.

იმ ხანათ თფილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია მოწვევითი იყო სოფლებს. გლეხთა შორის მუშაობა განსაკუთრებულ სიფრთხილესა და გამოცდილებას ითხოვდა. კახეთში ამ მიმე მოვალეობის ასრულება დაეკისრა ბ. ჩხიკვიშვილს. მართლაც სამი თვის განმავლობაში მან მოაწყო ძირითადი ორგანიზაციები და რაიონული კოლექტივები სამხრეთ ქალაქებსა, მოზრდილ დაბებსა და საუფლისწულო მამულთა. 1904 წ. ოქტომბერში ბ. ჩხიკვიშვილი შეიპყრეს და ბათუმში ვაგზავნეს იქ აღმოჩენილ არალეგალურ სტამბის გამო. 1905 წ. რევოლიუციის დაწყების შემდეგ ის

თავდებობით განათავისუფლეს. ხელმძღვანელ ორგანოს დადგენილებით ის დაბინავდა გურიის, სადაც ფართო ხალხური მოძრაობა დაიწყო.

17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცხადებას გურიის კომიტეტმა ნასაკირალთან კახაელებზე თავდასხმით გასცა პასუხი. ბ. ჩხიკვიშვილი, როგორც წევრი კომიტეტისა გადაპრით ებრძოდა ასეთ წინადადებას, მიიჩნდა რა ის უმიზნო სისხლისღვრათ, ხოლო როცა დადგენილება ხმის უმეტესობით მიიღეს, ჩხიკვიშვილი დამოკრიჭდა და თავდასხმას თვითვე ხელმძღვანელობდა. დეკემბრის აჯანყებას გურიის ისვე მეთაურობდა. დამარცხებას მოყვა აწიოკება. კრილოვის რაზმმა დასწამა გურია და მეთაურთა გაცემას ითხოვდა. აუცილებელი შეიქნა ორგანიზაციის ხელმძღვანელთა გაიხიზნა. მართლაც ასეთი იყო გურიის კომიტეტის დადგენილება. ბ. ჩხიკვიშვილმა ეს თავისთვის შეუქმლებლათ მიიჩნია და განაგრძობდა გურიის მუშაობას, აქა-იქ მინგრეულ ორგანიზაციების აღდგენას და ამ მიზნით ერთი კუთხიდან მეორეში გადადიოდა. ერთ ასეთ მგზავრობის დროს ის შეიპყრეს, სამხედრო სასამართლოში მისცეს და კატორღა გადაუწვევინეს. კომპრომიზის ის 1917 წ. რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა. საოლქო კომიტეტმა გადაწყვიტა მისი მუდმივ მიღენის თანამდებობაზე მოწვევა. მაგრამ ეს არ მოხერხდა, ვინაიდან ამიერ-კავკასიის დროებითმა მთავრობამ («ზოხაკომი») გადაწყვიტა შავი ზღვისპირის რკინი-გზის ლიკვიდაციის მოხდენა და მუშათა რწმუნებულის როლში გამოსვლა დაეკისრა ჩხიკვიშვილს. დემოკრატიულმა თვითმართველობამ ჩხიკვიშვილი სომხის ქალაქის თვათ აირჩია. როცა ბოლშევიკურ გადატრიალების შემდეგ დაიწყო ბოლშევიკთა ამოძრავება ლეჩხუმსა და სამეგრელოში. ბ. ჩხიკვიშვილი დაინიშნა ქუთაისის საგუბერნიო კომისრათ და მას დაევალა დასავლეთ საქართველოში დემოკრატიულ წესების აღდგენა. მან ეს პირნათლათ შეასრულა. შემდეგ ასეთივე დავალებით ის გაიგზავნა აფხაზეთში იქაურ ხელმძღვანელთა დაქინებითი მოთხოვნით. 1919 წ. ის არჩეულ იქნა დამფუძნებელი კრების წევრათ და ამავე დროს თფილისის ქალაქის თვათ. როგორც თფილისის ქალაქის თვათ, ის მთელი თვისი ენერგიით ხელს უწყობდა საქართველოს დედა-ქალაქის გაეროვნებას, ხოლო დამფუძნებელ კრებაში ის, დაჯილდოვებული ბუნებრივ მუყერმეტყველებით, უკეთეს ორატორათ შორის ირიცხებოდა. 1920 წ., როცა ბათუმის ოლქი შემოავიერთდა, ის მთავრობის დადგენილებით გაგზავნილი იქნა გენერალ-გუბერნატორათ ოლქში წესრიგის დასამყარებლათ და დემოკრატიულ რეფორმებისათვის წინადაგის მოსამზადებლათ. მის მიერ შედგენილი გეგმა ითხოვდა მდამიო ხალხზე დაყრდნობას და აგრარული რეფორმის დაუყოვნებლივ განხორციელებას. სხვა და სხვა მოსაზრებით, რაზედაც აქ არ შეეჩერდებოდა, ამ გეგმის ასრულება დროებით გადადევს, და ბ. ჩხიკვიშვილიც თანამდებობიდან გადადგა.

საბჭოთა რუსეთის შემოსევისას 1921 წ. თებერვალში ის დაინიშნა აღმოსავლეთ საქართველოს გენერალ-გუბერნატორათ, ხოლო სურამის უფლებილის დატოვების შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგათ.

ბ. ჩხიკვიშვილი მთავრობასთან ერთათ გაიხიზნა უცხოეთში. როცა პარიზში მთავრობასთან დამფუძნებელ კრების გაფართოვებული პრეზიდიუმი მოეწყო, ის შედიოდა ამ კოლეგიაში სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წარმომადგენლათ. ამ მოვალეობას ის ასრულებდა საქართველოში დაბრუნებამდე და მთელი ამ ხნის განმავლობაში მონაწილეობდა იღებდა სახლურ-გარეთელ მუშაობაში.

1924 წლის დასაწყისში სოც.-დემოკრატიულ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოითხოვა ბ. ჩხიკვიშვილის საქართველოში დაბრუნება. თუმცა ცოტა ხნით ადრე მან მძიმე ავთამყოფობა გადაიტანა და ფილტვების დაზიანებას განსაკუთრებული სიმწვავეით გრძობდა, მან უყოყმანათ შეასრულა საქართველოდან მოსული მოწოდება. სამშობლოში ჩასვლისას ის საკმათ გაეცნო შექმნილ მდგომარეობას და ის შესაფერათაც შეაფასა თავის მოხსენებაში. სამი თვის შემდეგ ის ოკუპანტებმა შეიპყრეს. მძევლათ ნ. ზომერტიქან ერთათ სუხდალში გაგზავნეს და შემდეგ აჯანყების დაწყებისას მასთან ერთათ დახვრიტეს.

ბ. ჩხიკვიშვილის მთელი სიცოცხლე დემოკრატიისა და მშრომელი ხალხისთვის თავდადებაა. თუ თქვენ თვალს ააშორებთ პირადი ცხოვრების ზოგიერთ მის ნაქსს, თქვენს წინ გადაიშლება არაჩვეულებრივი პიროვნება. აღუურვილი დაუფასებელი ორგანიზატორული უნარით, საუცხოო ორატორი და თავდადებული რაინდი. მთელი მისი ცხოვრება ეს რაინდული ბრძოლაა. ეს იყო მისი სტიქია. ის იბრძოდა ყველგან

სადაც უსამართლობას ეჯახებოდა: სკოლაში, ციხეში, ჩეკაში, პარტიაში, სახელმწიფოში. მას ერთხელაც არ უღალატნია ვაცემული სიტყვისათვის.

საქართველოს ჯალათებმა ბ. ჩხიკვიშვილი დახვრიტეს. მაგრამ შეუძლებელია ხიშტით იდენის დამორჩილება, აგრეთვე 24 წლის განუწყვეტელ ბრძოლის წაშლა. საქართველოს სოციალ-დემოკრატიკა და მასთან ერთათ მთელი ქართველი ერი არ დივიწყებს ბ. ჩხიკვიშვილის მოღვაწეობას და ამ უშიშარ რაინდის სახელი სამუდამოთ უკვდავი დარჩება.

ნ. რაქაშვილი.

ვ ა ლ ი კ ვ ა ლ ი მ ე ლ ი.



ვალეკო 37 წლისაც არ იყო, როცა მტარვალეებმა სიცოცხლეს გამოასალმეს. ის დაიბადა 1887 წელს შორაპნის მაზრის გლეხის ოჯახში. განათლება მიიღო ქუთაისის გიმნაზიაში, რომლის ნორმალურათ დამთავრება არ დასცალდა, რადგან ჯერ კიდევ ბავშვი, ის ჩაება 1904—5 წლის შიმშილობაში და დათხოვნილ იქნა სასწავლებლიდან. 1905 წლის რევოლუციის თვეებში ვალეკო მოსკოვშია და სხვა ქართველ ახალგაზდებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებს დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყებაში, რომლის დამარცხების შემდეგ ბრუნდება საქართველოში. რიონის სადგურზე მას ატუსაღებენ ყაზახ რუსები და უპირებენ მოკვლას. სასწაულით გადარჩენილი ვალეკო თავს აფარებს სოხუმს, საცა მისი მშობლები ცხვარობდნენ, აქ ატარებს რეაქციის წლებს და ემზადება «სიმწიფის ატესტატზე», რომელიც თუ არ ვცდები, 1912-ში მიიღო და გასწია პეტერბურგს უნივერსიტეტში.

ვალეკო იმ თავით სოც.-დემოკრატიულ პარტიის ბოლშევიკურ ფრთას მიემხრო და 1917 წლამდე, როგორც პარტიულ მოღვაწეობაში, აგრეთვე პირად დამოკიდებულებაში მჭიდროდ დაკავშირებული იყო ბოლშევიკებთან.

1917 წლის რევოლუციის დროს ვალეკო ტფილისშია და მთელი თავისი ტემპერამენტით ებმება რევოლუციურ მოღვაწეობაში; ჯერ ეკუთვნის ტფილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს ბოლშევიკურ ფრაქციას. ამ დრომდე ის უმთავრესათ ტრიალებდა პარტიულ ინტელიგენციის წრეებში და მუშებთან ხანგძლივი კავშირი არ ჰქონია. პირველათ რევოლუციის დღეებში დაუკავშირდა ის ქართველ მუშებს, ტფილისის პროლეტარიატის საუკეთესო ნაწილს, და უეჭველია, ამ გარემოებამ ითამაშა გადაშტურელი როლი მის მოქცევაში. ვალეკო იყო უაღრესად აქტიური, მომქმედი ბუნება; მასში დოქტრინას სუარბობდა მოქმედების წყურვილი: რევოლუციის ქარცეცხლში ის გაცილებით უფრო მეტად იყო გატაცებული პრაქტიკულ რევოლუციურ საქმიანობით, ვინემ ბოლშევიკურ ოპოზიციურ უნიონობით. ვინც მოწმე ყოფილა ჩვენი პარტიის არაღვალურ მუშაობიდან აშკარა რევოლუციურ მოღვაწეობაზე გადასვლის 1917 გაზაფხულზე, როცა საყოველთაო არღვევის და ქაოსის ფონზე საოცარი სიძლიერით გამოისახა ქართველ სოც.-დემოკრატიის ერთსულოვანი, მწყობრი, აფრთხილებული შემოქმედება, რომელმაც მოკლე ხანში სძლია ქაოსს და რევოლუციას მიზანშეწონილი მიმდინარეობა მისცა,— ის ადვილათ წარმოიდგენს. თუ რა გავლენას იქონიებდა ეს საკვირველი სურათი რევოლუციის ენტუზიასტ ვალეკოზე. მან მთელი თავისი ბუნებით შეიგრძნო, რომ ჩვენი პარტია ნამდვილი ხალხური პარტია იყო, რომ მასში შედუღებული იყო დოქტრინა და პრაქტიკა. ხელმძღვანელთა და მასის საქმიანობა. ის რევოლუციის პირველ თვეებშივე შეეთვისა პარტიის ორგანიზმს, შეეხარდა მას და მალე მის განუყრელ ნაწილად იგრანა თავი. და შემდეგ, როცა ბოლშე-

ვიკებმა აშკარად მტრული პოზიცია დაიკვირეს ქართველი დემოკრატიისადმი. ვალერი ბუნებრივად, თითქმის უმტკივნეულოთ სწევრებს უკანასკნელ კავშირს თავის წინანდელ პოლიტიკურ მეგობრებთან და, როგორც მის ბუნებას სჩვეოდა, უყოყმანოთ და ამყავთ იჭერს თავის ადგილს ბარიაკადის აქეთა მხარეზე.

სულ მოკე ხანში ვალიკო მებრძოლთა პირველ რიგში მოხვდა. წრფელ რევოლიუციურ ალტაცებასთან ერთად მას აღმოაჩნდა არაჩვეულებრივი ორატორული ნიჭი, საოცარი გულადობა, ორგანიზატორის დიდი უნარი და იშვიათი გამძლეობა შრომამშიც და ბრძოლამშიც.

ვალიკო არჩეულ იქნა თფილისის მეშუათა საბჭოს აღმასრ. კომიტეტში. აგრეთვე სხვა ხელმძღვანელ რევოლიუციურ ორგანოებშიც. როცა რევოლიუციის დასაცავთა თფილისის პროლეტარიატის შეიარაღების საკითხი დაიწყო, რამოდენიმე ჩვენს მოწინავე მუშებთან ერთად (ალ. დგებუაძე, ვლ. ჯიბლაძე, სანდრო შიხურაძე და სხვ.) ის ჩვეულებრივის გატაცებით და ენერგიით ჩაუდგა სათავეში «წითელი გვარდიის» მოწყობას. იმ თვეებში ვალიკოს მოღვაწეობის დასურათება—ეს იქნებოდა ჩვენში რევოლიუციის მთელი ხანის აღწერა. მაგივრონოთ გაკვირით ისტორიული მომენტი არსენალის აღებისა, რომელმაც რევოლიუციონურ დემოკრატიას იარაღი და სახელი მოუპოვა; მაგივრონოთ ბრძოლა იმ ამბოქრებულ სტიქიასთან, რომელსაც აიშერ კავკასიით რუსეთში მიმავალი, დემორალიზაციით შეპყრობილი მილიონიანი რუსის ჯარი წარმოადგენდა; მაგივრონოთ გვარდიისა და ვალიკოს როლი თფილისის და საქართველოს გადარჩენაში შიგნიდან და გარედან მოხლევებულ თავაშვებულ ანარქიისაგან. იმ საბედისწერო კვირებში ვალიკომ ძილი და დასვენება არ იცოდა; ის მუდამ წინ იდგა იქ, საიდანაც ქვეყანას საშიშროება მოელოდა და თავისი დაუშრეტელი ენტუზიაზმით და უშიშარი თავდადებით ბრძოლისთვის აფრთოვანებდა ქართველ მუშათა მცირე, ნაბევრთა შეიარაღებულ, საომარ მოქმედებებში გამოუცდელ რაზმს...

არსენალის აღებამ შეძლება მისცა «წითელ გვარდიას» საგრძნობ შეიარაღებულ ძალათ გადაქცეულიყო იმ ხანაში, როცა საქართველოს დემოკრატიას არავითარი სხვა სანდო შეიარაღებული ძალა არ გააჩნდა. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ «წითელი გვარდია» რესპუბლიკის სახალხო გვარდიით გადაიქმნა და მას კვლავ ვალიკო ედგა სათავეში.

დღეს ჩვენში ბევრნი იწუნებენ სახალხო გვარდიის მოღვაწეობას და მას ცუდათ იხსენებენ. ჩვენ არ გვინდა ხელი დაეფაროთ მის ნაკლულევანებებს: რევოლიუციის ხანაში სპეციალური, წარმავალი მიზნებისათვის ნაქარევათ შექმნილი ტუზნიკურათ მოუშხადებულ პირების მიერ—ის, რა თქმა უნდა, უნაკლო ვერ იქნებოდა და არც იყო; ნორმალურ დროში ნორმალურ სახელმწიფო შეიარაღებულ ძალის როლის ვერ შეასრულებდა. მაგრამ სწორეთ რომ მიუტრეველი უსამართლობა გვარდიის მხოლოდ ნაკლთა მიჩნევა და ქვეყნის წინაშე მისი დაუფასებელი სამსახურის დაიწყება. გვარდია, ქართველი დემოკრატიის შეიარაღებული მარჯვენა, იყო ის მთავარი ფაქტორი, რომელმაც საქართველოს ეროვნულ აღორძინებას გზა გაუკაფა. მის დღევანდელ მძაგებელთ ავიწყდებათ ის კომშარული კვირები. როცა ყოველივე ქართველს პარტიობის განურჩევლად, გვარდია ერთადერთ მსნელ ძალათ მიაჩნდა და ალტაცებით ადვენებდა თვალყურს მისი გმირული ბრძოლის ყოველ ნაბიჯს. გამოაკელით საქართველოს ისტორიას 1917—20 წლებში გვარდია და თქვენ ეროვნულ აღორძინებას და დამოუკიდებლობის მაგივრათ მიიღებთ ერის განვითარების მრავალ წლებით შეჩერებას, ქაოსს და ანარქიას. კერძოთ ვალიკო ჯუღელის აფრთოვანება, თავდადება, დაუღალავი ბრძოლა და შრომა საძირკველს უყრიდა მომავალ დამოუკიდებელ საქართველოს. და თვით დამოუკიდებლობის ხანაში? ვალიკოს ცხოვრება ამ ხანაში არის ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი ბრძოლის ისტორიის არც ყოფილა საშიშროება, რომ ვალიკო წინ არ გადალობოდეს და საქართველოსკენ მომართულ ტყვიისათვის თავისი მკერდი არ მიეშვიროს. გავიხსენოთ რუს-ბოლშევიკთა ბანდების შემოჭრა აფხაზეთ-სამეგრელოში, დუშეთში, ოსეთში და ვალიკოს როლი მათ შემუსვრაში; გავიხსენოთ სომხეთის ომი, ბრძოლა დენიკინთან, საბჭოთა ჯარების პირველი შემოსევა «წითელი ხიდით» 1920 წლის გაზაფხულზე, სოღანლული, კოჯორი...

უკანასკნელ ბრძოლაში რუსეთთან—ხაშურის მიდამოებში—ვალიკო დაიჭრა. 18 მარტს, მთავრობასთან ერთად, ის სტავრებს ბათუმს და ევროპაში აფარებს თავს. საქართველოს მიწა-წყალი მან დასტოვა თავის სურვილის წინააღმ-

დევ. დარჩენილ და წამსვლელ ამხანაგების ერთსულოვანი მოთხოვნით... ამ დროიდან მთელი მისი გულისყური, მთელი მისი მისწრაფება მიმართულია საქართველოსკენ. უცხოეთში გული არ მიუდის არც საქმეზე, არც მაცადინებობაზე. უკვე 1921 წლიდან მას ჰეშვივით აჩემებული აქვს დაბრუნება ბრძოლაში მოხაზილ-ობისათვის. როცა ამხანაგები უმტიკებენ მისი წასვლის მაგნებლობას. შეუძლებლობას, ვალიკა—ჩვეულებრივ ისეთი მოსიყვარულე. ნახი მეგობარი—ბრახდება, ირევა, ცხარე სიტყვებს ისვრის. მას ურყევია სწამს ჩვენი საქმის სიმართლე, გამარჯვების აუცილებლობა და მის ბრძოლის წუერვილს ერთი წუთითაც ვერ ანელებს პირადი საზოგადოების მოლოდინი.

და აი ბოლოს, საქართველოდან დაქინებით და განმეორებით მოთხოვნის შემდეგ, მას წასვლის შეძლება ეძლევა და მიდის, როგორც დღესასწაულზე. უკმუნავით, უეჭვით, რწმენით და იმედით გაიცისკროვნებული. არასოდეს ვალიკა ისეთი მხიარული, ისეთი იმედიანი, ისეთი ალტაცებული არ მინახავს...

მისი წერილები საქართველოდან იმავე ურყევი რწმენით და იმედითაა აღსავსე: ყოველ წერილში ჩვენ, უცხოეთში მყოფთ, გვახალისებდა და გვამაგრებდა.

ვალიკა შეიპყრო 1924 წ. 6 აგვისტოს. მისი უკანასკნელი დღეები უღრმესი ტრალიზმით აღიბეჭდა. სამწუხაროა ჩვენ არა გვაქვს დაწერილებითი ცნობები იმ საშინელი მორალური კრიზისის შესახებ, რომელიც ჩვეის მიერ გამოქვეყნებულ მის წერილებში გამოისახა. ვიცით მხოლოდ, რომ ინკვიზიტორებმა ის გააცნეს ჩვეის მიერ ხელში ჩაგდებულ ისეთ ცნობებს, რომლებმაც ამ აქტივობის ენტუზიასტს შეუქმნეს რწმენა შეიარაღებული ბრძოლის აუცილებელ დამარცხების, და რამდენადაც მთლიანი, ყოველივე ექვს მოკლებული იყო მისი გატაცება აჯანყებით, მისი რწმენა და იმედი გამარჯვების, იმდენად ღრმა იყო სასოწარკვეთილება. მან უპარანახა ვალიკოს თავისმოკვლი გადაწყვეტილება, მაგრამ ეს არ შედოდა ინკვიზიტორების პლანში და ამის საშუალება აღუკვეთეს კიდევ. უსაზღვრო სასოწარკვეთილების გულისტქმამ გადაუარა; და ამ გაუსწორებელმა იდეალისტმა თავის უკანასკნელ მოვალეობათ მიიჩნია ჩვეის ჯოჯოხეთიდან ცდილიყო მისი შთაბეჭდილებები, მისი რწმენა მიეწვდინა ბრძოლის ველზე დარჩენილათათვის, რომ ამ გზით აეცილებია გამოსვლა, რომელიც მას წინასწარ განწირულათ მიიჩნდა. ის არამც თუ მხათა თავი შესწიროს იმას, რაც მიიჩნია უკანასკნელ თავის მოვალეობათ ქვეყნის წინაშე, არამედ მეგრძოლის უმწიკვლო სახელსაც კი არ ზოგავს. მაგრამ ყოველი მისი ნაბიჯი, ყოველი სტრიქონი მისი აწ ისტორიულ წერილისა, ისეთი გულწრფელი თავდადებითაა აღნიშნული, რომ ოდნავთაც არ ბღაღავს მის პატიოსან სახელს. პირიქით, მისი უკანასკნელი წერილი უზენაესი ზნობრივი მისწრაფების გამოხატულებაა. შეიძლება ბევრმა არ იცოდეს, რომ ვეროპაში ჩვენს თანამგრობობათ საუკეთესო წარმომადგენლებზე ვალიკოს წერილმა მოახდინა არა ნაკლებ ღრმა, წარუხარცი შთაბეჭდილება, ვინემ მძევლების დახოცვამ. ამ გულწრფელ ტრალიზმით დასავსე დოკუმენტში მათ იგრანეს ჩვენი ერის ტანჯვის და წამების გამოსახულება...

ვალიკა მოჰკლეს ღამით 30 თუ 31 აგვისტოს. ჩვეაში იმ დროს მყოფნი მოწმობენ—როცა მსხვერპლები გაჰყავდათ ვალიკოს მკვეთრი ხმა: «გაუმარჯოს საქართველოს!» ყველა სხვა ხმებს ჰგრაადებდა. ჩვენ ვიცით, რომ ხელფებ შეკრულ, სისხლამდე გაბაწრულს—მას სცემეს ჯალათებმა. მაგრამ ისიც ვიცით, რომ მისთვის საჭარელი იყო არა ფიზიკური ტანჯვა, არამედ ის ზნობრივი წამება, რომელიც მას საფლავში ჩაჰყავდა.

აი ამიტომ განსაკუთრებით, ვალიკა ჯუღელის ტრაგიკული ბედი მუდამ მოსაგონარი იქნება, როგორც სიმბოლო საქართველოს წამებისა ამ ჯოჯოხეთურ ხანაში.

ფ. მარამიძე.

გოგირა ფაღავა.

გოგირა ფაღავა საუკეთესო წარმომადგენელი იყო იმ ახალგაზრდა თაობის, რომელმაც პოლიტიკური აღზრდა ძველი რეჟიმის პირობებში მიიღო. ბოლო ფართე საზოგადოებრივ ასპარეზზე დამოუკიდებლობის ხანაში გამოვიდა. ოკუპაციის წლებში კი ამ თაობამ უკვე ჩამოყალიბებული მოღვაწეები მოგვცა, რომელთაც აქ გავალეს პირველათ. ძველ მეთაურთა უცხოეთში გახიზნვის შემდეგ, მთელი თავის პოლიტიკური სიმწიფე, არაჩვეულებრივი გამძლეობა ბრძოლაში და უსაზღვრო თავდადება.

გოგითა 1896 წელს დაიბადა; განათლება მიიღო ქუთაისის სათავად-ანზურთა გიმნაზიაში. საცა მებუთე კლასიდან უკვე დაუკავშირდა პარტიულ წრეებს და ჩაება პარტიულ მუშაობაში.

პირველად ის 1912 წელს ენახე, სახელმწიფო დუმის საარჩევნო კამპანიაში ჩაბმული ქუთაისში; მისი წლოვანებისათვის უჩვეულოთ აყრილი ტანი, სახის ენერგიული ნაყვთები, რომლებიც ხასიათის სიმტკიცეს მოწმობდნენ, დიდრონი, სერიოზული გამომეტყველების თვალები, უკვე დაუკაცუებული ხმა—ყველაფერი უნებლიეთ იპყრობდა თქვენს ყურადღებას ამ 16 წლის ჯაბუკში, რომელსაც საარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელი. ნოე ხომერიკი, შვირად სერიოზულ დავალებებს აძლევდა ხოლმე. და ისიც დინჯათ, უბრალოთ, მაგრამ ყოველთვის სწორად ასრულებდა თავის საქმეს, ხელმძღვანელობდა მუშაობაში სხვებს, შვირად მასზე უფროს. ამხანაგებს...

1914 წელს გოგითამ დაამთავრა საშუალო სასწავლებელი და მოსკოვის უნივერსიტეტში შევიდა; მოსკოვში ის ებმება სტუდენტობის მოძრაობაში. მალე ხდება ქართველ სტუდენტების ერთი ხელმძღვანელთაგანი; თავის წრეში კი ის ყოველივე საქმიანობის ცენტრია. მუდმივი კავშირი აქვს საქართველოს სოც.-დემ. ორგანიზაციებთან და აქანიყულებს პარტიულ მუშაობაში ატარებს. ამ დროის განმავლობაში ის რამდენიმეჯერ იქნა დატუსაღებული. ომის წლებმა დიდათ დაახიანეს ჩვენი ორგანიზაციები; საუკეთესო მუშაკების დიდი ნაწილი ჩვენი ქვეყნიდან გადასახლებულ იქნა. ვინ ციმბირში, ვინ ვოლოჯდა-არხანგელსკში. პარტიისათვის ამ უდიდესი გაკვირების დროს ჩვენი მაშინდელი ახალგაზრდობა იჭერდა რიგებიდან ამოგლეჯილ ძეგლების ადგილს. გოგითა მათ შორის პირველი იყო. 1915 წელს 21 წლის გოგითა ღეო რუხაძესთან ერთად პარტიულ ლეგალურ განვითარებაში...

1917 წლის რევოლუციის დასაწყისს გოგითა მოსკოვში შეხვდა. საიდანაც გზავნის თფილისში. ჩვენი ს.დ. განვითარების სახელზე, ისტორიულ დეკემბრს: ამთავრობაძე სკანჩალისაი-ო. საქართველომ ამ დეკემბრიდან გაიგო პირველათ რუსეთის ცენტრში მომხდარი გადატრიალების ამბავი.

რუსეთიდან გოგითა აკ. ჩხენკელთან ერთად ჩამოვიდა და რამდენიმე ხანს მისი მდივანი როლს ასრულებდა ამიერ-კავკასიის კომისარიატში. მარა ასეთი აღმინისტრაციული როლი მას არ აკმაყოფილებს. ბრძოლა და მოძრაობა სწყურია. ის მიდის ქუთაისში და სხვა ამხანაგებთან ერთად ხელმძღვანელობს იქ რევოლუციურ ორგანიზების მუშაობას; როცა ჩვენში გვარდიის შედგენა დაიწყო, გოგითა ამ საქმეს ჩაეჭიდა და განსაკუთრებული ენერგიით ეკიდებოდა დასავლეთ საქართველოში მის მოწყობას. ის იყო ჯერ ქუთაისის ხოლო შემდეგ მთავარი შტაბის წევრი; 1919 წელს ვახდა დამფუძნებელ კრების წევრი, რომლის პირველ სხდომაზე, როგორც ყველაზე უფრო ახალგაზრდა დეპუტატს, მას მდივნის მოვალეობის ასრულება ხედა წილათ. თფილისში გოგითა მუშაობს როგორც დამფუძნებელ კრებაში, აღრეთვე პარტიანი და გვარდიის შტაბში. ის შვირად დადიოდა ამა თუ იმ დავალებით საქართველოს პროვინციებში. გაიგზავნა აგრეთვე პოლიტიკური მისიით ჩრდილო-კავკასიაში. მონაწილეობდა ხან ფრონტზე, ხან ზურგში—ქვეყნის თავდაცვაში. უკანასკნელ საბედისწერა ომში საბჭოთა რუსეთთან გოგითა დაულალავი და გულგაუტეხელი მეტროპოლია...

ჩვენი ქვეყნის დაპყრობის შემდეგ, მარტის დამლევის გოგითა ბათუმშიდან ქუთაისში დაბრუნდა და აქ სხვა ახალგაზრდა პარტიულ მუშაკებთან ერთად შეუდგა პარტიულ ორგანიზაციის აღდგენას. აპრილში. მაშინდელ რევკომის თავმჯდომარემ, ფ. მახარაძემ, განიზახა დასავლეთ საქართველოს ჩამოვლა ხალხის გულის მოსაგებად. ყველას ახსოვს, თუ რა დაუფარავი ზიზლით და აღშფოთებით დახვდა იმერეთ-გურია შელდერის გამოს. პირველი გაქვეითი მან ქუთაისში მიიღო იქაურ მუშა-მოსამსახურეებისაგან გოგითა ფაღავას მეთაურობით. კომუნისტების მიერ სპეციალურათ მოწვეულ კრებაზე ქართველ ბალშევიკების მოხვედრის ლიდერის წინააღმდეგ გამოვიდა ახალგაზრდა გოგითა და გაბედულათ, თამამათ მიახალა პირში ამ ქვეყნის და სოციალისტების მოღალატეს მწარე სიმართლე მისი და სხვა კომუნისტების სამარცხენო როლის შესახებ საქართველოს დამონაგებაში. მთელმა კრებამ აღტაცებული ოვაცია გაუმართა ახალგაზრდა ორატორს. ხოლო გაბახებული ფილიპე იძულებული იყო სამარცხენოთა გაქცევადა ქუთათურ მუშების მსჯავრს.

ამის შედეგით ის იყო, რომ გოგითა პირველ რიგშივე დაატუსაღეს და რვა თვე თფილისის ჩეკა-ციხეში ჰყავდათ გამომწყვდეული. გამოუშვეს თუ არა, კვლავ ჩადგა

მებრძოლთა რიგში და რამოდენიმე კვირის შემდეგ გადაიმალა კიდევ. ამერიიდან ის არალეგალურ მუშაობის ცენტრში დგას. ჯერ პრაივინციაში მუშაობს, შემდეგ ბრუნდება თფილისში და მალე ხდება სოც.-დემ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტის ერთი მთავარ მუშაკთაგანი.

ოკუპაციის ხანის არალეგალურ მუშაობის ჯოჯობეთურ პირობებში გამოაშკარავდა გოგიტა ფალავას გაუტუნებელი ნებისყოფა, ორგანიზატორული ნიჭი. გამბედაობა, ბრძოლის ხელმძღვანელობის უნარი. ნოე ხომარაიკის დროს ის იყო მისი უახლოესი და დაუღალავი თანამშრომელი. ხოლო ნოეს ჩავარდნის შემდეგ დაიკავა მისი ადგილი და ხელში აიღო მოძრაობის ხელმძღვანელობა. ჯერ არ დამდგარა დრო ამ გმირ-მებრძოლის მთელი მოღვაწეობის დაწვრილებით აღნუსხვის და დახასიათების. ვიტყვიტ მხოლოდ, რომ გოგიტას სიმტკიცეს, ენერჯიას, თავდადებას, თავყანისცემით ინსენიებენ არა მხოლოდ ჩვენი პარტიის მუშაკები: ყველანი, ვისაც მასთან საქმე ჰქონია უკანასკნელ წლებში. ერთსულოვნათ ამოწმებენ. რომ ეს ახალგაზრდა საოცრათ დავაქცადა, გაიზარდა ბრძოლაში, რომ მას ნამდვილი ბელადის თვისებები აღმოაჩნდა. მისმა სახელმა ფართე პოპულიარობა მოიპოვა. მას ირგვლივ, ისე როგორც ნ. ხომარაიკის ირგვლივ, ლეგენდები ითხზებოდა. ჩეისტებზე ის ხან წითელი არმიის ოფიცრის ფორმაში, ხან დიდი კომუნისტის გრიმში ელანდებოდათ. ორი-სამი კაცი მის და საქერად წასვლას ვერ ბედავდა. და როცა მის კვალს მიაგნეს, ბინას გარს შემოერტყა ჩეისტის მთელი რაზმი და ათასგვარი წინასწარი სიფრთხილით და შემდეგ სრალით შევიდენ ჩეისტები მის ბინაში...

გოგიტა 1924 წ. თებერვალში დაატუსაღეს. ხოლო აჯანყების წინა კვირებში ის სუბდალში გაგზავნეს. აჯანყების დღებში—ნ. ხომარაიკთან, ბ. ჩხიკვიშვილთან, გ. წინამძღვრისშვილთან და ვ. ნოდარისთან ერთად—მოკლეს გოგიტა კომუნისტურ ჯალათებმა სადალ—მოსკოვსა და როსტოვს შუა.

მაგრამ ამ ქაბუკი მებრძოლის დიადი სული ქართველ ახალგაზრდობაში დარჩა უმაღლეს მავალითად იდეისა და სამშობლოსთვის შეუპოვარი ბრძოლის, უდრეკი მხნეობის და უსაზღვრო თავდადების. გოგიტას უკვდავი სახელი სათაყვანებლათ გულში ჩამარხული აქვს ყოველივე მებრძოლ ქართველს და განსაკუთრებით იმ მებრძოლ ახალგაზრდებს, რომელნიც დღეს ჯალათების ხელით ჩვენი რიგებიდან ამოვლეული ძველ მოღვაწეთა ადგილზე სდგანან. მათთან ერთად განაგრძობს შეუპოვარ ბრძოლას გოგიტას უკვდავი სული და მათთან ერთად მოუპოვებს ის გამარჯვებას ტანჯულ ერს...
მეკობარი.

**ვასო ნოდია და ბიქტორ ცენტერაძე.
(ორი მეგობრის ხსოვნას).**

ვასო და ბიქტორი ეკუთვნოდენ ქართველ მუშათა იმ ახალგაზრდა თაობას. რომელიც ადრე, სიყმაწვილეში ჩაება რევოლიუციურ ბრძოლაში, შეხაროდა მას და დავაქცადა სწორეთ მაშინ, როდესაც ჩვენ ქვეყანას ეღირსა თავისუფლათ ამოსუნთქვა. პოლიტიკური და ეროვნული ჩაგვრის ბორკილების დამსხვრევა.

ამ თაობას ხვდა ახალგაზრდა რესპუბლიკის დემოკრატიულ ფორმებში ჩამოყალიბებისათვის მუშაობა. სწორედ ამავე თაობას, ახალგაზრდების დახმარებით, დააწვა მთავარი სიმძიმე დღევანდელ სამკედრო-სასიკოცხლო ბრძოლაშიც.

ვასო და ბიქტორი საუკეთესო წარმომადგენელნი იყენენ ჩვენი შეგნებული; გონებრივათ დაწინაურებული მუშებისა.

ბათუმი და ფოთი, აი მათი კერა. აი მათი სკოლა და სამოქმედო ასპარეზი მათი მოღვაწეობის პირველ ხანაში.

ვასო ნოდია დაიბადა და გაიზარდა ქ. ფოთში. ორ კლასიანი სკოლის გათავების შემდეგ მან იწყო ნავთსადგურში მუშაობა, როგორც ნავთსადგურის მუშამ. მან ჯერ კიდევ სკოლაში დაიწყო მარქსისტულ წრეებში სიარული, და შევიდა თუ არა მუშათ მაშინვე, ჩაება პარტიულ ცხოვრებაში, რომელსაც მთელი თავისი ახალგაზრდული გატაცებით მიეცა. პარტიულ მუშაობას ეწევა ფოთში და სამეგრელოს სხვადასხვა კუთხეებში. უმათავრებადი ნავთსადგურის მუშებში, ბუნებრივი ნიჭი, გამჭრიახი გონება და ცოდნის შეძენის სიყვარული მას მალე აყენებს მოწინავე მუშათა რიგებში.



ვასო ნაფთია.



ნიკოიზ გვარტსვაძე.

მუშები მას დიდი სიყვარულით და პატივისცემით ეპყრობიან. ვასო ბევრს შეცადინეობს და სწრაფის ნაბიჯით მიდის წინ.

დიდი ომის დროს გაწვეულ იქნა ჯარში, საცა ფერშლობა შეისწავლა; მთელი ორი წელი დაჰყო ტყვეობაში—ავსტრიაში.

რევოლუციის შემდეგ, ტყვეობიდან დაბრუნებული, ის კვლავ შეუდგა პარტიულ მუშაობას; 1919 წელს არჩეულ იქმნა დამფუძნებელ კრების წევრათ. ვასო მუშაობდა სხვადასხვა კომისიებში და ხშირათ მთავრობის ან დამფ. კრების დაეალებით ასრულებდა სხვადასხვა მისიებს რესპუბლიკის ამა თუ იმ პრავინციაში.

ამასთან ერთათ მას მუდრო კავშირი ქონდა თავისი დარგის მუშებთან. საქართველოს პროფ. კავშირთა პირველ ყრილობაზე ვასო იყო ფრთის წარმომადგენელი. აქ მან თვისი უკვიანი და მოზდენილი გამოხსლებით ყრილობის ყურადღება მიიპყრო და არჩეულ იქნა ცენტრალურ საბჭოში, სადაც მეტათ ნაყოფიერათ მუშაობდა. საბჭომ ის ბიქტორათან ერთათ აირჩია რუსეთში გასაგზავნ დელეგაციის წევრათ.

1921 წ. დაიწყო თუ არა საბჭოთა რუსეთის თავდასხმა, ვასომ ფრანტს მიაშურა და თავდადებით იბრძოდა თფილისის მიდამოებში, როგორც უბრალო ჯარისკაცი. 24 თებერვალს ის ტყვეთ ჩაუვარდა წითელარმიელებს. წაყვანილ იქნა ბაქოსკენ, მარა გზაში მოახერხა გამოპარვა და დაბრუნდა თფილისში, რომელიც უკვე ოკუპანტების ხელში იყო.

1921 წ. აპრილის ისტორიულ პარტიულ კრებაზე ვასო პრეზიდიუმის წევრი იყო. ვასო პირველ რიგში იქნა დატუსალებული ოკუპანტების მიერ; მეტეხში დაჰყო ორი წელი, სადაც ის განუწყვეტლივ შეცადინობდა და გასაოცრათაც წაიწია წინ.

ის მოხვდა იმ 62-თა რიცხვში, რომლებიც ბოლშევიკებმა სახლვარ-ვარეთ გადმოასახლეს. ვასო არჩეულ იქნა გადმოსახლებულთა ხელმძღვანელ კომისიის პრეზიდიუმში... 22 წლის 9 ოქტომბერს ღამეს, როცა ჯალათები თავს დაგვესხენ მძინარე ტუსალებს 12 საათზე მეტეხიდან გასაყვანათ, ჩვენ ბარიკადები ავაგეთ და მოხმდურთ წინააღმდეგობა გაუწიეთ. ვასო, მისთვის ჩვეულებრივი ვაჟაკობით, ხელმძღვანელობდა ერთ-ერთ შენობას. ჯარის უფროსმა, ვილად რუსის ოფიცერმა, დაამზადა საომრათ თავისი რაზმი, და მოგვემართა ჩვენ შემდეგი ბრძანებით: აკომინტერნისა და რუსეთის კომუნისტური პარტიის ცეკას სახელით გიბრძანებთ ეზლავე გამოხვიდეთთა ამაზე მან. რასაკვირველია, უარი მიიღო და გაჩაღდა ბრძოლა. ვასო აულელებლათ იძლეოდა განკარგულებებს და ამგვრებდა ტუსალებს. ხანგრძლივი წინააღმდეგობის შემდეგ მხოლოდ უფროსი ამხანაგების დაეინებით მოათხოვნით, ჩვენ შეუწყვეტეთ წინააღმდეგობა...

გზა თფილისიდან ბერლინამდე ჩვენთვის წამება იყო. არ ვიცოდით სად მივეყავ-

დით, რას გვიპირებდნენ, რა მ. აგველ ადა. ამხანაგები ხშირათ ლელაედენ, ნერვიულობდნენ, სასაოწარკვეთილებას ეძლეოდენ. ვასო კი—მუდამ მომღიშობარი—მშედინი სიტყვით ამშვიდებდა ყველას.

გერმანიაში მან განაცხადა ურყევი გადაწყვეტილება ბრძოლის ველზე დაბრუნებისა და პირველ შემთხვევისთანავე გაუდგა ეკლიან გზას. ჯერ ნოე ზომიერების ხელმძღვანელობით, შემდეგ გოგიტა ფალავისთან ერთად ის დაუღალავათ, უშიშრად უწევდა განმათავისუფლებელ ბრძოლას, იყო მუდამ ჰასუნსაგებ ჰასტუნზე, ახმადა ქვეშის საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს შორის, აწყობდა და ამხარებდა პარტიულ ორგანიზაციებს. ვასო დაიპირეს რამოდენიმე კვირის ადრე აჯანყებამდე.

სხვებთან ერთად გადაგზავნეს ის სუზდალის ციხეში და სხვა ოთხ მძევალთან ერთად ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა 32—33 წლის ვასო ლახრულათ, ლაშის სოხნულეში გამოასალმეს წუთისოფელს ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობ სადგურზე მოსვლესა და როსტოვს შუა...

ბიქტორ ცენტერაძე დაიბადა გურიაში. საფელ ქვედა ბერეკოულში; აქვე დაასრულა მან სოფლის სკოლა. რის შემდეგ გაემგზავრა ბათუმში და დაიწყო მუშაობა საქონლის სადგურზე. აქვე ჩაება ის პარტიულ მუშაობაში, რისთვისაც დაიპირეს და გადაასახლეს რუსეთში. რუსეთიდან მალე გამოიპარა და არალეგალურ მუშაობაზე გადავიდა. რევოლუციის პირველ დღეებში ის არჩეულ იქნა რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა გამგეობის ბათუმის რაიონის წევრით.

საქართველოს რკინის გზელთა კავშირის პირველმა ყრილობამ ბიქტორი ცენტრალური გამგეობის წევრად აირჩია. ბიქტორი განდა ამ გამგეობის წევრი. თავმჯდომარის ამხანაგი და კულტურული განყოფილების გამგე.

საქართველოს პროფ. კავშირთა პირველმა ყრილობამ ის აირჩია რესპუბლიკის პროფ. კავშირთა ცენტრალურ საბჭოს წევრად. საბჭომ კი თავისი აღმასრულებელი კომიტეტის წევრად. ის ჩაება კავშირების მუშაობაში და დიდი ტაქტით, ენერგიით და გამურიაობით აწარმოებდა თავის საქმეს. ამავე დროს თანამშრომლობდა პროფეს. ორგანიზებში «რკინის გზელში» და «მუშათა ცხოვრებაში» აბ. ბერეკოულელის» ფსევდონიმით.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ის გადავიდა არალეგალურ მუშაობაზე. ის ადრე დაიპირეს და შეცდომით გაანთავისუფლეს; შემდეგ ორჯერ თუ სამჯერ შემთხვევით გადაარჩა დაქვრას. 1922 წელში კი ჩავარდა თფილისის კომიტეტის სხდომაზე ანანია სალუქვაძესთან და სხვებთან ერთათ და გადმოსახლებულ იქნა ნ. 2-თა რიცხეში ხელვარ-გარეთ.

ბერლინში ის შეუდგა ენის შესწავლას, შევიდა სახალხო უნივერსიტეტში და ბევრი ინტელიგენტი მიიტოვა უკან. გერმანიის კრიზისმა და უმუშევრობამ გვიძულა საფრანგეთში გადმოვსულიყავით. პარიზში ბიქტორი სენ-ლაზარის სადგურზე მუშაობდა, სანამ საქართველოდან პარტიულმა ორგანიზაციამ არ შოიბოვა.

ბიქტორი შეიკრფანს ბათუმში აჯანყების წინა დღეებში და სხვა ტყვეებთან ერთად წუთისოფელს გამოასალმეს.

ვინც ბიქტორს დაახლოებია მუშაობაში ან კერძო დამოკიდებულებაში, არასოდეს გაუქარწყლდება შთაბეჭდილება ამ ცოცხალ, მომქმედ, ნიჭიერ მოღვაწის, რომელიც საქმეში მკვირცხლი, მარჯვე, გამურიაბი და დაუზარებელი იყო. პირად განწყობილებაში კი მუდამ ოხუნჯი, მზიარული, სიცოცხლით აღსავსე, მოსიყვარულე.

საქართველოს მუშათა კლასმა დაპატივება მასში თავისი საუკეთესო წარმომადგენელი, რომლის დიდად დაჯილდოებულ ბუნებას ჯერ კიდევ ვერ მოესწრო თავისი ძალების სავსებით გაშლა. ის ხომ 38 წლისაც არ იყო, ბიქტორს დარჩა მოხუცებული დედ-მამა, მეუღლე და სამი ბავშვი...

ვასო და ბიქტორი არც ბუნებით, არც განვითარების ტრადიციებით შეთქმულთა ტიპებს არ ეკუთვნოდნენ. პირიქით, ორივე საუკეთესო წარმომადგენელი იყვნენ საქართველოს პირაობებში აღმოცენებულ შეგნებულ, მოწინავე, სრულად გათვითცნობიერებულ მუშებისა, რომელთაც შესისხლხორცებული ჰქონდათ მასიური ორგანიზაციის ბრძოლის მეთოდები. და თუ ისინი აჯანყების გზას დაადგნენ, ეს მოწმობს მხოლოდ იმას, თუ რა ჯოჯოხეთური პირობები შეუქმნია ჩვენ ქვეყანაში ოკუპანტებს.

მათი ვერაგულათ მოკვლა კი მოწმობს, რომ მოსკოვით მოკლინებულ ამეშუტა გლეხურთ მთავრობას არ შეუძლია თავისი ბატონობის განმტკიცება საქართველოში, თუ მან ქართველი პროლეტარიატის საუკეთესო შეილები არ გაეღიბა.

ვასოს და ბიჭქორის საბით, სხვა შრავალ ასეულ ბრძოლაში დაბოცილ მუშებთან ერთად, ქართველმა პროლეტარიატმა მიიტანა ეროვნული განთავისუფლების და სოციალური იდეალის სამსხვერპლად უძვირფასესი მსხვერპლი: მათი წმიდა სისხლი თავდებია იმის, რომ ქართველი მუშა, როგორც მთელი ქართველი ერი, არასოდეს შეურიგდება დამპყრობელთა მონობას.

«მშვიდობით, ძმანო! თქვენ მედგრადა განვლეთ
თქვენი გზა წმინდა, პატიოსანი!»

მ. ანდუგელი.

ვა ს ე ჯ ა მ ა ძ ე .

ვ. ცაბაძე დაიბადა 1874 წ. გორის მაზრაში. 1895 წ. დაამთავრა თფილისის ტექნიკური სკოლა. დაიწინიდან ჩაება სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში, რომელმაც ფეხი იმ ხანათ აიდგა საქართველოში. 1896 წ. ის მონაწილეობს მუშათა წრეში. საიდანაც პარტიას არა ერთი და ორი საუკეთესო ორგანიზატორი და პროპაგანდისტი შეეძინა. როცა შემდეგ წლებში მოეწყო თფილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, რომელიც სრულიად დამოუკიდებელ არსებობას განაგრძობდა და არც რუსეთის სოც.-დემ. პარტიაში შედიოდა, ვასო ცაბაძე ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელ ორგანოში თავიდანვე მონაწილეობას იღებდა და ერთ-ერთ მეთაურათ ითვლებოდა ს. ჯიბლაძისა და სხვა ცნობილ ამხანაგთა გვერდით. როცა 1901 წ. 22 აპრილს მოხდა პირველი საჯარო დემონსტრაცია თფილისში, ვასო ცაბაძე შეიპყრეს და მეტეხის ციხეში მოათავსეს, სადაც მან დაპყრო ერთ წელზე მეტი. განთავისუფლების შემდეგ ის ქ. გორში გადასახლეს. 1903 წ. მარტში აწმ. ცაბაძე დაესწრო კავკასიის სოც.-დემ. ორგანიზაციათა პირველ ყრილობას და იქ ეკედლებოდა ნოე ეორდანიასილ. ჯიბლაძის მიმართულებას და ჩვეთან ერთათ იბრძოდა მ. ცხაკბია-ფილ. მახარაძემ-ბოკუორიშვილის წინადადებებს, რომელთა მიზანი იყო საქართველოს სოც.-დემ. ორგანიზაციებში არსებულ დემოკრატიულ წესის მოსპობა და ლენინის ხაზის გატარება საორგანიზაციო საკითხებში. იმავე წელს ვ. ცაბაძე აღმოსავლეთ ციმბირში გადასახლეს, საიდანაც ის 1905 წ. აგვისტოში დაბრუნდა და დაუყოვნებლივ პარტიულ მუშაობაში ჩაება. 1906 წლიდან ის იყო ერთი საუკეთესო ხელმძღვანელთაგანი თფილისის სოც.-დემ. კომიტეტისა და მისი დავალებით მეთაურობდა მთელს აღმოსავლეთ საქართველოში გლეხთა შორის პროპაგანდა-ორგანიზაციის საქმეს: ის იყო სასოფლისო კომისიის თავმჯდომარე. 1907 წ. ვასო ცაბაძე დააპატიმრეს ვერის უბანში თფილისის კომიტეტის სხდომაზე, სადაც ის თავმჯდომარეობდა, და ვოლოჯდის გუბერნიის გადასახლება გადაუწყვიტეს. 1917 წ. რევოლიუციის დაწყების შემდეგ ის უმთავრეს ყურადღებას გლეხთა საბჭოების მოწყობას აქცევდა და მათ ხელმძღვანელობდა, საქართველოს დამოუკიდებლობის გამორცხადების შემდეგ პარტიამ ის პარლამენტში გაგზავნა, ხოლო შემდეგ დამუდგენელ კრებაში აირჩია. აქ ის მონაწილეობდა აგრარულსა და თვითმართვლობის კომისიებში და როგორც აქტიური და გავლენიანი წევრი მათი დავალებით ხშირათ მომხსენებლათ გამოდიოდა. როცა გორის მაზრაში საერაობა თვისმართვლობა მოეწყო, ის თავიდანვე საერაობა ყრილობის თავმჯდომარეთ აირჩიდა და ეს თავ-



ნამდებობა მან ბალაოში შეინარჩუნა. საერობო საქმეს ის საქმაოთ იცნობდა და თვითმართველობას შესაფერ ხელმძღვანელობას უწევდა.

საბჭოთა რუსეთის შემოსევის შემდეგ ის კოლპერატიულ მუშაობაში ჩაება, მაგრამ საქართველოს ჯალათებმა კარგათ იცოდნენ ვ. ცაბაძის 28 წლის დაუღალავი მოღვაწეობა მუშათა კლასის საკეთილდღეოთ. ისინი ხედავდნენ, რომ ამხ. ცაბაძე ქედს არ იხრდა და საქართველოს დამოუკიდებლობას იცავდა. და აი სხვა მოღვაწეებთან ერთად ისიც ხელიდან გამოგვაცალეს. ის დაპატიმრეს აჯანყების დაწყების შემდეგ და მეორე დღესვე დახვრიტეს. მტერი ანგარიშში მოტყუებდა. თუ წინათ ვ. ცაბაძეს უმთავრესათ პარტია იცნობდა, ამიერიდან ის მთელი ქართველი ერისთვის სამუდამოთ უკვდავი შეიქნა.

ნ. რ.—ი.

გ ა ბ ო გ ი ხ ე ა რ ი მ ვ ი ლ ი.



გაბო სულ ახალგაზრდა 29—30 წლის იყო. როცა საქართველოს განმათავისუფლებელ ბრძოლას შეეწირა. ვინც მას ცოტათი მაინც იცნობდა, არ შეიძლება არ დარჩენოდეს ამ გარეგნობითაც მშვენიერ, მომხიბლავ კუბუკისაგან საუკეთესო შთაბეჭდილება და სსოვნა. გაბო თუში იყო, გლეხის ოჯახიდან, უმაღლეს განათლებით აღჭურვილი. 1919 წელს დამფუძნებელ კრების წევრათ იქნა არჩეული სოციალ-დემოკრატიული სიით. ფრაქციაში მისი სიღინჯე, თავაზიანობა, დაფიქრებული აზრი, თავისი კუთხის პირვარამის ცოდნა საერთო ყურადღებას იპყრობდა. დამფუძნებელ კრების თუ მთავრობის დავალებით მას არა ერთი და ორი პასუხსაგები მისია შეუსრულებია პროვინციაში, განსაკუთრებით კახეთში.

დაიწყო თუ არა რუსეთის ჯარების საქართველოზე თავდასხმა, გაბო საომრათ გაეშურა, დამფუძნებელი კრების წევრი ჯარის-კაცთა რიგში ჩადგა. ფრონტზე მან იშ-

ვითი ვაჟაკობა და თავდადება გამოიჩინა; გვერდში მიიმეტ დაჭრილი (ფილტვი ჰქონდა ტყვიით გახვრეტილი), გაბო თავს აფარებს მშობლიურ მთას, რამოდენიმე თვის წაშლობა დასჭირდა რომ ფეხზე დამდგარიყო. გამოკეთდა თუ არა, დაუბრუნდა თფილისს და ჩვეულებრივის სიღინჯით და ხალისით ჩადგა მებრძოლთა რიგში. ის რამოდენიმეჯერ დაატუსაღა ჩეკამ. უკანასკნელათ 1923 წლის ივლისში დაიჭირეს და მას შემდეგ თავისუფალი ჰაერით სუნთქვა აღარ ღირსებია. ბნელეთის მოციქულებმა შეებნელ ღამეში სხვა მძევლებთან ერთად სიცოცხლეს გამოასალმეს აჯანყების დღეებში.

გაბო ვაჟაკურათ, საკვირველი სიმშვიდით შეხვდა სიყვდილს. დაღუპვის დღეს შესწლო მიეწოდებია ერთი თავისი მეგობრისათვის რამოდენიმე სიტყვა—ჩემს ახლობლებს გადაეცი ბევრი არ იდარდონ ჩემზე, დედა ანუგეშონ და იცოდნენ რომ უშიშრათ ვკვდებიო...

გმირი გმირულათ მოკვდა და მისი სიმტკიცის მაგალითი გზას გაუნათებს მრავალ ქართველ თაობას იდეისა და სამშობლო ქვეყნისთვის ბრძოლაში.

ვერალიძე.

ალექსანდრე ჩიქავა.

ალ. ჩიქავა დაიბადა 1882 წ. ზუგდიდის მაზრაში. 1901 წ. დაამთავრა ქუთაისის სამეურნეო სკოლა, სადაც ის მოწაფეთა არალეგალურ წრეებში მონაწილეობდა. აქ ის სოციალ-დემოკრატიულ მოძღვრებას გაეცნო. მას შემდეგ ის განუწყვეტილად პარტიის აქტიურ წევრად ირიცხებოდა. სამეგრელოს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციის შექმნაში მას დიდი ღვაწლი მიუძღვის. ალექსანდრე ჩიქავა ეკუთვნოდა პარტიის ძველ მუშაკთა იმ ჯგუფს რომელიც ფრთებს შლიდა განსაკუთრებით არალეგალურ ბანაში, როცა ჩვეულებრივ, მერყევი ელემენტი ფრთხედა და პარტიას შორდებოდა. ის იდგა პარტიის სადარაჯოზე სწორედ შავბნელ რეაქციის ბანაში და სამეგრელოს ორგანიზაციების დავალებით პარტიის ყრილობებსა და კონფერენციებში მონაწილეობას იღებდა. სხვათა შორის ის 1914 წ. დაესწრო პარტიულ კონფერენციას.



რომელიც მოწვეულ იქნა ომის დაწყების შემდეგ და მასში აქტიურ მონაწილეობას იღებდა. იშვიათია სამეგრელო-სამურზაყანოს ისეთი მივარდნილი კუთხეც კი, რომელიც ალ. ჩიქავას არ იცნობდეს. ალ. ჩიქავა ერთერთ საუკეთესო ორგანიზატორად ითვლებოდა მთელს სამეგრელოში. ამიტომ როცა დამდ. კრების არჩევნები დაიწყო, ის სრულიად უდაო კანდიდატი შეიქნა და არჩეულ იქნა დეპუტატად. აქ ის აქტიურ მონაწილეობას იღებდა სხვა და სხვა კომისიებში. ამავე დროს მას მუდამ ჰქონდა მუიდრო კავშირი ადგილობრივ ორგანიზაციებთან.

როცა მოხდა საქართველოს ოკუპაცია, ალ. ჩიქავას. პარტიის ძველი ტრადიციების საუკეთესო მტარებელს, არ შეეძლო მტარვალთა წინაშე ქედის მოხრა და მათთან შეგება. ამიტომ იყო, როცა აჯანყება დაიწყო, ის შეიპყრეს თფილისში, სადაც ის უნივერსიტეტში ირიცხებოდა, და მეორე დღესვე დახვრიტეს. დავკარგეთ პარტიის კარგი, წრფელი ამხანაგი, ნიჭიერი ორგანიზატორი და ენერგიული მოღვაწე. პარტიის მომავალი ისტორიკოსი გვერდს ვერ აუხვევს ალ. ჩიქავას ამაგს, ხოლო ერის მიერ იგი თვდადებულ და უკვდავ გმირთა ბანაკში ჩაირიცხება.

ნ. რ.

გიორგი წინამძღვრომიძე.

განვლილი ბრძოლის ისტორიამ სამარადისოდ დაუკავშირა ერთმანეთს რამოდენიმე თვდადებულ ახალგაზრდათა ხსოვნა, რომელთაც მოუხდათ როგორც ბრძოლის სიმძიმის, აგრეთვე წამების განაირება: საცა გოგიტა ფალავას, ვაზო ცისკარიშვილის და სხვათა სახელი იხსენიება, მათთან განუყრელად მოიგონებს საქართველოს ბრძოლისა და ტანჯვის ისტორიკოსი გიორგი წინამძღვრომიძე.

პოლიტიკურ ასპარეზზე ეს ახალგაზნა, საფრანგეთში უმაღლეს სწავლა დამთავრებული, ოკუპაციის წლებში გამოვიდა. რწმენით ნაღ.-დემოკრატი, ის ერთი იმათგანი იყო, ვინც გულწრფელად ჩაება გაერთიანებული ფრონტით მუშაობაში და სრულის თანხმობით, გატაცებით და ღირსეულად იზიარებდა ბრძოლის სიმძიმეს ჩვენს საუკეთესო ამხანაგებთან ერთად. დატყვევებულ იქმნა აჯანყების წინა თვეებში; სცადა წინააღმდეგობის გაწევა. მაგრამ ჩეკისტის ტყვიამ მძიმე ჭრილობა მიაციენა და აღუკვეთა გაქცევის საშუალება. ჩეკაში გიორგი იმავე სიმტკიცეს იჩინეს, რომელიც მას ბრძოლაში ახასიათებდა.

ზომერიკთან, ჩხიკვიშვილთან, ფალავასთან და ნოდისთან ერთად გადაიყვანეს სუხდალის ციხეში და მათთან ერთად გამოასალმეს წუთისოფელს ჯალათებმა რუსეთის უცნობ სადგურებზე...

სიმ. მაჭავარიანის, გიგა ჩიქოვანის და გედ. სვანიძის ხელნახ.

როდესაც გავიხსენებ შარშანდელ აგვისტოს-სექტემბრის ამბებს, სამშობლოს თაისუფლებითვის დახოცილებს, თავგანწირულ მამულიშვილებს, არ ვიცი რომელი ერთი მოვიგონო, რომელ სახეს დავაცქერდე, რომლის გამომეტყველება, რომელთან შეხვედრა, საუბარი, ყოფნა გავიცხოველო? ბევრია ნაცნობი, ბევრია ამხანაგი, ბევრია ახლობელი...

მშირად წარმოვიდგენ თვალწინ ხან ერთს, ხან მეორეს, ხან მესამეს: რა გვითქვამს ერთმანეთისთვის, რა საყვარელი ფიქრები და ზრახვანი გავიხიარებია? ხომ არა მიწყენინებია რა, ხომ არ ყოფილა ჩემს საქციელში რაღე უხეში, უსულო, წუთიერი? ვგრძნობდი იმ უკვდავებას, მარადიულობას, სიმალეს, რომელიც გვასულდგმულებს და ჰფარავს გარდამავალ ყოველდღიურობას?..

ბევრნი არიან და მემწელება ვისმზე განსაკუთრებული ყურადღება შევაჩერო, ან განა საჭიროა მათი განსხვავება, განთვითულება? ისინი ხომ ერთნი იყვნენ, ერთად არიან? ერთი სიყვარული ათბაბდა მათ გულს—ხალხის სიყვარული! ერთი საქმე ჰქონდათ—მშობელი ერის შელახულის, ფეხით გათელილ უფლების აღდგენა, მისი განთავისუფლება და აღორძინება! ერთი სამარე აქვთ და ზედ გადაფარებულია მთელი ერის კრემლებით განსპეტაკებული და სათუთი გრძნობებით მოქარგული ერთი გლოვის ზეწარი!..

ერთნი არიან ერთი დიდი მიზნისთვის შეწირულნი. მაგრამ აქ მინდა იარი სიტყვით მოვიხსენიო სამი ადამიანი, რომელთა პიროვნება არაჩვეულებრივის სინამდვილითაა აღბუყდილი ჩემს ხსოვნაში—სიმ. მაჭავარიანი, გიგა ჩიქოვანი და გედ. სვანიძე. მათ—ნამეტურ პირველ ორს—მშირად შევხვედრივარ პარტიულ მუშაობის დროს (სამივე სოც.-ფედ. პარტიას ეკუთვნოდნენ). ისე კერძო ცხოვრებაში, და შეუძლებელია დავიწყება იმ ზნეობრივი სიფაქიზის, სულიერი სინახის, რომელიც ამშვენებდა ყოველ მათ მოქმედებას, იმ სიმტკიცის და ენერჯიის, ბრძოლისა და საქმიანობის უნარის, სერიოზულობის, რომელიც ახასიათებდა ყოველს მათ ნაბიჯს, იმ პირდაპირობის და თავდადებულობის საფერო საქმისთვის, რომლის გარეშე არა მიანდათ რა. ერთი სავაქაცო ხანაში გადადიოდა და მთელი გორის მაზრის გლეხობის ნდობით იყო დაჯილდოვებული. მეორე იყო ახალგაზნა მოღვაწე და ბათუმში ყველასათვის საყვარელი. მესამე—სტუდენტი—შეურიგებულ და მებრძოლი სტუდენტობის ერთი ხელმძღვანელთაგანი იყო...

სამადა და ძვირფასი მათი ცხოვრების მოგონება. უფრო მშვენიერია მათი სიკვდილი, სიკვდილი ქართველი ხალხისთვის, ქართველი ერის განთავისუფლებისთვის.

მათი და აგვისტოს-სექტემბრის სხვა მრავალი გმირის სახელები საქართველოს ისტორიის ფურცლებს დაამშვენებენ!..

ბ. ფ.

გოგიტა ფადავა, ტუტუტ ვვარამია, თედორე ასათიანი... სახელები სახელებს სცვლის... სახეები სდგება და გვილიმის... გვილიმის კმაყოფილების ღიმილით: ჩვენ შევასრულეთ ჩვენი მოვალეობა ჩვენი ქვეყნის წინაშე...

მრავალ საუკუნეთა ტრეხილში იმსხვრეოდა ქართველთა ძელები. მცირე აზიის, დღეს უკვე მრავალი ფენით დაფარული და საიდუმლოებაში გადასული მიწის პირი კრძალვით იცავს მრავალთა ჩონჩხებს, მიწის გულში შეიწურა მრავალთა დანთხეული სისხლის ნაქადები. მხოლოდ-ღა უცხო და გამოუცნობი, ასოები პიტალო კლდეებზე უცნაურათ ამოკვეთილი,—დასტოვა მან. ზღაპარივით შორი და ტანჯუებივით წარმტაცია აზიის მკერდზე დამწვარი ბრძოლა... ხმლით იყო გათხრილი ქართველი ხალხის საზღვრები და მუდმივი ბრძოლის სისხლით იყო ავსილი იგი. სამანი იყო ქართველთა ჩონჩხით აგებული...

დაყოფილი და დაავადებული, მუდამ თამამათ მყივარი კავკასიონის ქედიდან,—მკვეთრი არწივი უბედურ ბედით გაქვიდილ გალიაში დაემწყვდა... მაგრამ გაიბრძოლა მან კიდევ, გააფთრებით შემოაჭრა მან გალიას ფრთები, გარნა დამსხვრეული ძირს ჩამოუვარდა...

ციმბორის უსივრცო ველი მოიკენება ქართველ მებრძოლთა ძელებით... გაითბარა მრავალი უჯვარო საფლავი... მრავალ კისერს ჩაუქდო გასანთლული თაკი... მაგრამ მაინც არ გადატყდა ნება:—თავისუფლებინადში.

ვარდის თვის 26-ს აფრიალდა შვინდისფერი დროშა საქართველოს ცაზე ათამაშდა მზე! მაგრამ კვლავ შეიღება საქართველოს მიწა სისხლით. მზე დაბნულდა. ქართველმა ერმა ძაბა ჩაიძვია...

უქვდავი ბრძოლა კვლავ გრძელდება: საქართველოს საკურთხეველზე ზვარაკათ ეწირება მრავალი გული და ამ გულთა ფერფლი ექლევა შამაქელს წმინდა სამგლოვიაროთ და ბრძოლისათვის მარადი ნების გასაქაქებლათ...

გოგირტი, ტუტსუ, თუთარე... ვალიკო, ნოე... ბევრი... ბევრი... სახელები სახელებს სცვლის... საშობლოს თავისუფლებისათვის დაღუპულ რაინდთა სახეები გვიამლოვდება და გვიღიწის:—ჩვენ შევასრულეთ ჩვენი მოვალეობა...

ნეტარება მათ...

გვ. ნიჭაიკე.

ერთი ღოჯა ქართველი ხალხის აჯანყების შესახებ.

სწორეთ იმ დღეებში, როცა საქართველო სისხლიდან იწურებოდა. ენევეაში ერთა ლიგის მე-5 ყროლობა იყო შეკრებილი. 5 სექტემბერს მას მიმართა ქართველი ხალხის სახელით საქართველოს ელჩმა აკაკი ჩხენკელმა, რომელიც იმ ქაშათ ენევეაში იმყოფებოდა, და საქართველოს დელეგატმა ერთა ლიგის წინაშე ხ. შავიშვილმა.

5 სექტემბერს იმავე ყროლობას მოუვიდა საქართველოს ერთგული მთავრობის თავმჯდომარის ნოე ყობრანიასაგან შემდეგი დეპეშა:

«საოკუპაციო ხელისუფლებისაგან 3 წლის უმავალითო ჩაგვრით სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ქართველი ხალხი აჯანყდა. ამი დღეა სწარმოებს გააფთრებულ ბრძოლა მოსახლეობასა და რუსის ჯარ შორის. სწვევენ საფლებს, გაუსამართლებლათ ბერეტენ დიდი ხნიდან დატუსაღებულ პოლიტიკურ ტყვეებს. ხალხი იბრძვის ერთგულ დამოუკიდებლობის აღსადგენათ, რომელიც მოსტაცა მას მოსკოვის მთავრობამ, გასთელა რა ფეხქვეშ საქართველოსა და რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულება. ვთხოვ ერთა ლიგას, რომლის დანიშნულებამა საერთაშორისო კონფლიქტების მოგვარება და სისხლიან ბრძოლების შეჩერება, ჩაერიოს ამ საქმეში და წინადადება მისცეს მოსკოვის მთავრობას, რომ მან შეაჩეროს სამხედრო მოქმედება საქართველოს წინააღმდეგ, ხოლო კონფლიქტის მოგვარება გადასცეს საერთაშორისო სამედიაციო სასამართლოს.»

იგივე დეპეშა გაეგზავნა საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, პერიოს, და ინგლისის პრემიერ-მინისტრს, შადონალდს.

საქართვე. მთავრ. თავმჯდომარემ მიმართა აგრეთვე მოსკოვის კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს, როკოვს, დეპეშით, რომელშიაც წინადადებას აძლევდა შეეჩერებია სისხლის ღება და კონფლიქტი საქართველოსა და რუსეთს შორის გადაეცა მშვიდობიანი გზით მოსაგვარებლათ საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოსთვის.

9 სექტემბერს ერთგულ მთავრობის თავმჯდომარემ წერილის სახით განუმოვრა თავისი თხოვნა ერთა ლიგის ყროლობას, ხოლო 10 სექტემბერს გაუგზავნა მას განასჯუთრებული მიმართვა მძევლების დახვერტის შესახებ.

11 სექტემბერის საერთო სხდომაზე ერთა ლიგის ყროლობამ დაიწყო მსჯელობა საქართველოს აჯანყების შესახებ. წარმოდგენილ რეზოლიუციის დასაცავათ გამოვიდა ცნობილი ფრანგი სოციალისტი, პოლ ბონკერი, რომელსაც ყროლობა ტაშისკვით შეეგება. მოგვყავს მისი სიტყვა მკირფით შემოკლებით:

ბ-ნი პოლ-ბონკერი.—თავმჯდომარე, ბ-ბო! ყროლობას შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ დაგვიანებულ დროს გამო მე ჩემს მოვალეობათ ჩავთელი მხოლოდ ძლიერ მოკლე სიტყვით შევაგვიანო ვადა სხდომის დასრულების. ამასთანავე, იმ რეზოლიუციისათვის, რომელიც მე პატივი მქონდა წარმომედგინა ბრიტანეთის, ბელგიის და საფრანგეთის სახელით, თვით ფაქტები, სამწუხაროთ, იძლევიან ისეთ კომენტარიებს, რომლებიც იმდენათ საკმარისია, რამდენათაც ტრალიკული და სამწუხარო.

რა თქმა უნდა, განვთების მიერ გამოცემული ამბები არ წარმოადგენენ იფიციალურ ტექსტს. რომელზედაც ჩვენ უნდა ვიქონიოთ მსჯელობა. მარა მიუხედავათ

ამისა არ შეგვიძლია მათ გვერდი ავუხვიოთ და მათი საშუალებით არ გავცნოთ იმ მოვლენებს, რომლებსაც ადგილი აქვს საქართველოში, და დარწმუნებული ვარ, ყველანაირი ვიგარბობთ, თუ რამდენათ ამალღებულები და ერთგვართა პარადოქსალური ის გარემოება, რომ ჩვენ აქ შევერიდეთ ზავის ინტერესებზე და მის გასამტკიცებლათ საუკეთესო საშუალებებზე დამწვიდებით მასალაპარაკებლათ და სწორეთ ამ დროს დედამიწის ერთ კუთხეში საომარი მდგომარეობაა. იღვრის სისხლი, ზდება ხოცვა-კლეტა და ტანჯვა-ვაების ხმა კვლავ წვდება ზეცას.

ჩვენ შეუძლებლათ მიგვაჩინია, რომ ამ ამბების წინაშე ერთა ლიგა მდუმარე დარჩეს და თავისი მოვალეობა არ შეასრულოს.

მართალია, მდგომარეობა მეტრის-მეტათ დელიკატურია და გართულებული იმ ფაქტით, რომ საომარი მოქმედება სწარმოებს ორ სახელმწიფოს შორის, რომლებიც ერთა ლიგაში არ ირიცხებიან. მარა ისინი, ვინც დააარსეს და მოაწვეეს ერთა ლიგა და დააწესეს ჩვენი გამაერთიანებელი ხელშეკრულება, საკმარისათ წინდახედული და ჰუმანიური იყვენ: მათ გაითვალისწინეს ისიც, რომ ერთა ლიგამ უნდა გამოიჩინოს უნივერსალური მხრუნველ აზრა, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს მარტო თავის რიგებისათვის ყურადღების მიქცევით, არამედ გააერთიანოს თავის ზრუნვა მორიგებისათვის იმათზედაც, ვინც ჯერ ლიგაში არ მონაწილეობს.

ბატონებო, ის წინადადება, რომელიც პატივი მქონდა წარმომედგინა ბელგიის და საფრანგეთის დელეგაციის სახელით—არის შედეგი—ეს უნდა ითქვას, რათა ყრილობას სრული წარმოდგენა ჰქონდეს საქმის ვითარებაზე—არის შედეგი შეთანხმების, რომელსაც ადგილი ჰქონდა დიდ-ბრიტანეთის პირველ მინისტრის, ბ. მაკდონალდის და საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, ბ. პერიოს შორის მათი აქედან წასვლის წინ. ბ. პერიოს საქართველოს მთავრობამ მიმართა მგაჩინებარე თხოვნით რომ მას ერთა ლიგაში წამოეყენებია ეს საკითხი.

მათი ჰუმანიურობის გამო ბ. ბ. მაკდონალდს და პერიოს დიდი შრომა არ დასჯირვებიათ, რომ წასასვლელათ აჩქარებულნიც შეთანხმებულიყვენ იმაში, რომ ამ საკითხის გარჩევა სწორეთ ერთა ლიგას ეკუთვნის, და წასვლის წინ მე დამავალეს შევთანხმებოდი ბრიტანეთის დელეგატს, პატივცემულ ლორდ პარმურს, და მათი სახელით წარმომედგინა ეს წინადადება. ეს ასე მოხდა კიდევ...

წინადადება გამსჭვალულია თვით ერთა ლიგის მიზნებით და არც ერთ სახელმწიფოს არ ეუცხოება, რომ ის ზრუნავს ქვეყნიერების ყოველ კუთხეში შეაჩეროს ომი და აღადგინოს სამართლიანობა. ეს შეადგენს თვით მის ფუნქციას და სათანადო კომისიები, რა თქმა უნდა, გამოიკვლევენ ამ წინადადების განხორციელების საშუალებებს; მე არ მინდა შევეხო აქ ამ საკითხს. იმ სახელმწიფოებშია, რომელთაც საქმე ეხება, თავისთვის საპატიოთ უნდა მიიჩნიონ, რომ ერთა ლიგა იჩენს მათდამი ნდობას და ფიქრობს, რომ არავის შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს თხოვნას, რომელთაც ის მათ მიმართავს და მის სურვილს, რომ ქვეყნათ სამართალი ბატონობდეს. (ცხარე ტაშისცემა).

თავმჯდომარის წინადადებით, რეზოლიუცია გადაეცა დღის წესრიგის კომისიას, რომელმაც შეუდგე წარმოდგინა წინადადება:

«25 სექტემბერი, 1914 წელი. ყრილობამ გადასცა შეექვეს კომისიას განსახილველად ბელგიის, ბრიტანეთის იმპერიის და საფრანგეთის დელეგაციების მიერ წარმოდგენილი შემდეგი რეზოლიუციის პროექტი:

«ყრილობა, ადასტურებს რა მე-3 ყრილობის მიერ 1923 წლის 22 სექტემბერს მიღებულ რეზოლიუციას საქართველოს შესახებ, მოუწოდებს საბჭოს გულმოდგინეთ ადევნოს თვალყური მოვლენებს მსოფლიოს ამ ნაწილში, რათა შესაფერ მომენტში ისარგებლოს სათანადო შემთხვევით, და ხელი შეუწყოს მშვიდობიან და საერთაშორისო უფლებასთან შეთანხმებულ ღონისძიებებით ამ ქვეყნის ნორმალურ მდგომარეობაში დაბრუნებას».

ეს წინადადება სიტყვა სიტყვით იმეორებს 1923 წელს მიღებულ რეზოლიუციას. მესამე ყრილობამ—გამსჭვალულმა იმავე გარნობით, რომელსაც, დარწმუნებული ვართ, იზიარებენ დღეს ყველა ჩვენი კოლეგები—მიანდო საბჭოს თვალყური ედევნებია მდგომარეობისათვის და ისარგებლნა ყოველი ხელსაყრელი შემთხვევით, რათა ხელი შეუწყოს მის გაუმჯობესებისათვის მშვიდობიან და საერთაშორისო უფლებასთან შეფარებულ საშუალებებით.

ამ მდგომარეობის ძირითადი გარემოებები არ შეცვლილა და ის ტრადიციული

მოვლენები. რომლებსაც დღეს საქართველოში აქვს ადგილი, აცხოველებენ ჩვენში მე-3 ყრილობის სულისკვეთებას. ვადასტურებთ რა 1923 წლის რევოლუციის, ნებას ვაძლევთ ჩვენს თავს დაუერთოთ მას იმედი. რამ ლიგაში მონაწილე სახელმწიფოების მთავრობები შესაძლებენ სათანადო შემთხვევაში მხარი დაუჭირონ საბჭოს—ინფორმაციის მოწოდების სახით თუ საბჭოსთვის თავისი გავლენით დახმარების აღმოჩენით მშვიდობიანობის აღდგენის საქმეში, რამდენადაც პირობები მათ ამის საშუალებას მისცემენ.

«კომისია სთხოვს ყრილობას კეთილ ინებოს და დაადგინოს ამ მოხსენების საბჭოსთვის გადაცემა. რათა მას საშუალება მიეცეს სათანადო მომენტში და იმ წესით, რომელსაც მიზნობრივად მიიჩნევს, მხედველობაში მიიღოს ის, რაც მოხსენებაშია ნაჩვენები».

ეს მოხსენება განზილულ იქნა ყრილობის პლენარულ სხდომაზე 25 სექტემბერს. მოგვეყვას მთავარი სიტყვები, წარმოთქმული ამ სხდომაზე:

ბ. შაკ დონალდი (კანადა), მომხსენებელი.

ბ-ბო! მე ვინდა უპირველესათ მოვახსენოთ რამდენიმე იურიდიული ხასიათის შენიშვნა საქართველოს მდგომარეობის შესახებ. ეს რამდენიმე წელია ევროპა დაინტერესებულია ამ უბედურ ქვეყნით, რომლის ამაყმა ხალხმა მრავალი საუკუნის განმავლობაში შეინარჩუნა დიდი ზნიდან მოპოებული დამოუკიდებლობა. ხოლო ასი წლის წინათ ის რუსეთმა შეიერთა.

საქართველომ კვლავ მოიპოვა დამოუკიდებლობა 1918 წლის მაისში და შემოიღო დემოკრატიული კონსტიტუცია. ეს ფაქტი აღიარებულ იქნა 1920 წლის იანვარში. ამავე წლის მაისში რუსეთმა საქვეყნო იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი. და, ბოლოს, 1921 წლის 27 იანვარს, საბჭომ იცნო იურიდიული საქართველო...

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს სრულუფლებიან წარმომადგენელმა წარუდგინა რწმუნების ქაღალდები საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს და მას შემდეგ საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი ორგბა პარიზში.

თი აქ ადგილი ჰქონდა ქვეყნიერების ისტორიაში უმაგალითო ფაქტს. რუსეთი, მიუხედავად თავისთავზე აღებული ვალდებულებისა, თავს დაესხა საქართველოს სახელმწიფოს და მას შემდეგ საქართველო მოუხმობს ყველა ხალხების თანაგრძობას.

საქართველოს იურიდიულ მდგომარეობის შესახებ არავითარი ეჭვი არ არსებობს მას შემდეგ, რაც ამის თაობაზე განცხადებით გამოვიდნენ პრემიერ მინისტრი, ბ. პუნაჯარი საფრანგეთის პალატაში და ბ. ფინანსთა მინისტრი ინგლისში.

შეიძლება გეითხრან, რომ დიდმა ბრიტანეთმა უკვე იცნო საბჭოთა რესპუბლიკა. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ეს ცნობა შეიცავდა რუხერვს. საქართველოს მამასადაამე აქვს სრულიად უდაო უფლება მოუხმოს ხალხთა თანაგრძობას.

ქართველი ხალხის ტანჯვა აღმართება ყოველივე შესაძლებლობას. ტერორი, რომელიც დროგამოშვებით კლებულობს რუსეთში, არამც თუ ერთის წუთითაც არ კლებულობს, არამედ თანდათან ძლიერდება საქართველოში: გადასახლება, წამება და ბოროტმოქმედებანი ჩეკაში, ყველა კლასების წარმომადგენლების გოუსამართლებლათ ხერხთა უფრო და უფრო ხშირდება. ინტელიგენტები და მუშები მოკლებულნი არიან ცხოვრების საშუალებებს. ბელისუფლების მოწინააღმდეგე ქართველები იძევებიან როგორც სავაჭრო-სამრეწველო, ისე სახელმწიფო დაწესებულებებიდან. სამღვდლოებთან სდევნიან სარწმუნოებრივ მოვალეობის აღსრულებისათვის; არსებული მდგომარეობის აღიარებისათვის მრავალი წლის დატყვევება მიუხაჯეს პატრიარქ-კათალიკოს ამბროსის, რომელიც ამ ეჭმად ციხეში იმყოფება.

ამგვარათ, როგორც უფლებრივი, ისე ფაქტიური მხრით, მე მიმაჩნია სრულიად სამართლიანათ ამ მოხსენებაში აღნიშნული გადაწყვეტილება, რომელიც ერთხმით მიიღო კომისიამ. (აპლოდისმენტები)».

დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი, პროფესორი ჯილბერტ მორეი იზიარებს მომხსენებლის დებულებებს და ეხება სპეციალურათ ინგლისის პოლიციის საქართველოს საკითხში:

«შეიძლება ვისმეს ეგონოს, რომ დიდი ბრიტანეთის პოლიტიკა არ არის საკმარისათ ლოლიკური და მთლიანი ამ მხრით. 1921 წ. 27 იანვარს დიდმა ბრიტანეთმა, როგორც უზენაეს საბჭოს წევრმა, იცნო საქართველო დე იურე—დამოუკიდებელ სა-

ხელმწიფოთ და საბჭოს მაგალითს მიბაძა მთავრობათა მთელმა რიგმა. მიმდინარე წლის განმავლობაში მისი უდიდებულესობის მთავრობამ იცნო რუსეთის მთავრობა სრულიად კორექტულ, დაკვირვებით გაზომილ ფორმულით. მან იცნო სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი, როგორც მთავრობა დეიურე ყოფილი რუსეთის იმპერიის იმ ტერიტორიებისათვის, რომლებიც მის ხელისუფლებას სცნობენ.

პროფესორი მორეი ფიქრობს, რომ ღიგამ არ უნდა გასცეს ისეთი დაპირებები, რომელთა შესრულებას ვერ შესძლებს. «მარა ჩვენ უნდა ვაღვიაროთ იმ მოვალეობის ბუნება, რომლის შესრულება ესლახან არ ძალგვიძს, და ვთხოვოთ საბჭოს ერთს ყოველგვარი შესაძლებლობა, რომელიც მოსალოდნელია შეიქნას და რომელიც საშუალებას მისცემს მას აქტიურ მოსამუაღეთ გამოვიდეს, რომ მშვიდობიანობა მიანიჭოს სამხედრო მოქმედებით ასე ძლიერ დაზარალებულ მხარეს».

იტალიის წარმომადგენლის შემდეგ, რომელიც საერთოდ იზიარებს წინადადებას, სიტყვას იღებს ბელგიის დელეგატი, დებრიუკერი.

«ბ. დებრიუკერი (ბელგია).—ბ-ნო თავმჯდომარე, ბ-ბო! მე მინდა რამოდენიმე სიტყვა დაუმატო იმ სიფრთხილის რჩევას, რომელიც მოგვცა იტალიის პატივცემულმა დელეგატმა და იმ იმედის სიტყვებს, რომელიც წარმოსთქვა ესლა აქ დიდი ბრიტანეთის დელეგატმა.

სიფრთხილე აუცილებლივ საჭიროა ამ შემთხვევაში, როგორც ყოველთვის. ერთა ლიგას, ადვილათ შეიძლება, დაუდგვარ და მერყევი ნიადაგზე მოუზნდეს მოქმედება არა მარტო კავშირით, არამედ ყველგან. თვისება, რომელიც ჩვენ უნდა მოვთხოვოთ ერთა ლიგის საბჭოს და რომელსაც ის საკმაოდ იჩენს კიდევ, არის ის დიდი პოლიტიკური სიფრთხილე, რომელზედაც აქ ილაპარაკეს, და რომელიც, როგორც გამოცდილება გვასწავლის, არ უნდა მდგომარეობდეს უმოქმედებაში. მთელი ხალხის ბრძოლის და მისი სიყვდილის უბრალო მაკტერალ მოწამეთ ყოფნა, უბრალო ყურადღებისაკი არ მიპყრობა ამ მოვლენისთვის იმდენათ მძიმე რამეთ მიმანია, რომ, ჩემის აზრით, ამ გზით ჩვენ არამც თუ ვერ ავიცდენთ თავიდან უსიამოვნო ინციდენტებს, არამედ ხელს შევეწყობთ ძლიერ სამიზარ გართულების გამოწვევას.

აქ მრავალი კომპეტენტური პირი მთელ თავის ძალღონეს და მთელ თავის კეთილ სურვილებს და ადამიანობას ახმარს მშვიდობიანობის პრობლემების შესწავლას და ამ დროს რომ ერთა ლიგა დაკმაყოფილდეს აბსტრაქციით, თავი შეაფაროს აბსტრაქციის ატმოსფერას ჩვენ კარებთან მძვინვარე ომის წინაშე,—ეს იქნებოდა, ნება მომეცით გულახდილათ ვთქვა ეს, საკვირველი წინააღმდეგობა ერთა ლიგის მოქმედებაში და ერთგვარი დაცინება.

აქ ითქვა და ითქვა სამართლიანათ: ისინი, ვინც ყველაზე უფრო მონდომებული არიან საქმეში ჩაერიონ და ომი შეაჩერონ, იძულებული არიან აღიარონ, რომ დღევანდელ მომენტში ჩვენ დიდი რამეს ვაკეთება არ შეგვიძლია.

მარა ეს ვანა საკმარისი საბუთია იმისათვის, რომ არაფერი ვთქვათ არა მგონია, თვით სიტყვა ერთგვარი სიკეთება, ერთგვარ ღირებულების შემცველია. რის ვაკეთება დღეს არ ძალგვიძს. მას შევიძლება მაშინ, როცა ხალხთა შეგნება და სინიღისი ჩვენ ძალას შეგვმატებს. და აი ეს სინიღისი უნდა გამოვადგინოლოთ, მას უნდა მივმართოთ.

მივიღოთ ერთხმათ წარმოდგენილი რეზოლიუცია, რათა აქედან მივანჯღოთ ჩაგრულთ იმედის სიტყვა. ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ ვიცით, რომ ომი მძვინვარებს, რომ ეს ომი ჩვენ უსამართლოებათ: მიგვანჩია და რომ, ადრე თუ გვიან, იმ დღეს, როცა ამის შეძლება იქნება, რაც შეიძლება ჩაბრა და მთელი ჩვენი შესაძლებლობით მოზდება ჩაჩევა, რომელიც აღადგენს უფლებას. (აპლოდისმენტები).

საფრანგეთის დელეგატის სიტყვის შემდეგ, რომელიც იზიარებს ბელგიის დელეგატის პოზიციას, ყრილობამ ერთხმად მიიღო შემოთ მ რ უ ე ვ ა ნ ი ლ ი რ ეზო ლ ი უ ც ი ა.

წ ლ ი ს თ ა ვ ნ ე.

მოვალეობათ მიმანჩია აგვისტო-სექტემბრის აჯანყების წლის თავის აღსანიშნავ სპეციალურ ნომერში რამოდენიმე სიტყვით ვამცნო ქართველობას დაუიწყარი, აუწერელი სურათი, რომლის მოწამე ვიყავ გასულ წელს. ეს მით უმეტეს საჭიროთ მიმანჩია, რომ მქონდა შემთხვევა პირდაპირ შეხვედრების და ლაპარაკისა, განიდან ყურე-

ბის და მოსმენისა ყოველი ტომის, ყოველი წრის და ყოველი მიმართულების წარმომადგენლებისა, რაც კი დედამიწის ზურგზე არსებობენ გარდა კანინალებისა და ბოლშევიკებისა...

ქართველმა ხალხმა იცის, რომ ერთა ლიგამ, თავის 54 წევრ სახელმწიფოებით, თავისი სიმპატია გამოსთქვა ქართველი მებრძოლი ერისადმი მის სასარგებლოთ ერთხმად მიღებულ რეზოლიუციით და მით დაგმო ბოლშევიკების ძალმომრეობა. მარა მან არ იცის, რომ ეს რეზოლიუცია, როგორც თითქმის ყოველი ოფიციალური დოკუმენტი, მეტად მკრთალი გამოხატულება იმ ღრმა გრძობებისა, იმ დიდი თანაგრძობისა ქართველი ხალხისადმი და იმ უსახლერო აღშფოთებისა ბოლშევიკების წინააღმდეგ, რომელსაც განიცდიდა თვითველი წევრი ლიგისა. ამავე გრძობებით იყვენ გამსუქალული ყველა მათ ირგვლივ მყოფნი: მწერლები, ურჩანლისტები, მეცნიერები.

ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს ისიც, რომ აქ, ენევეაში, იყვნენ იმ ეპოქაში მარტო წევრები ლიგისა—54 სახელმწიფოს წარმომადგენელი და მათი თანმხლებნი. იყვენ აგრეთვე ყველა დანარჩენ ერების, რომლებიც ჯერ კიდევ ლიგაში არ შესულან, საუკეთესო ინტელექტუალური და მორალური ძალები მეთვალყურეობდნენ და ესენიც დიდ აღტაცებას და თანაგრძობას გამოსთქვამდნენ ჩვენი ერის გმირულ გამოსვლისადმი და ასეთსავე განუსაზღვრელ ზიზღს ბოლშევიკ მტარაკვლების წინააღმდეგ.

მოწიწებით ვიდრეც რა მუხლს ვერაგულათ დახოცილთა მოკონების წინაშე, მაგონდება ეს უდიდესი სურათი—მთელ კაცობრიობის წარმომადგენელთა მხურვალე თანაგრძობისა თავისუფლებისათვის მდგრაით მებრძოლ ქართველ ხალხისადმი, და მოწყავს ეს სურათი ღრმა რწმენით საბუთად იმისა, რომ ის იდეალი—საქართველოს განთავისუფლება, რომელსაც მათ გმირულათ თავი შესწირეს, აუცილებლათ განხორციელებულ იქნება ახლო მომავალში.

ენევეა, 26 აგვისტო 1925 წ.

ნ. შავცივილი.

ინტერნაციონალი ხაქართველთს შესახებ.

მობხენებაში, რომელიც სეკრეტარიატმა წარუდგინა მუშათა სოციალისტურ ინტერნაციონალის მეორე კონგრესს მარსელში ერთი თავი აქვს მიკუთნებული რუსეთის და საქართველოს საკითხს. (იხ. გვ. 37—45).

ამ თავის უდიდესი ნაწილი უკავია საქართველოს საკითხს! აქ მოგვყავს ეს ნაწილები ზოგიერთ შემოკლებით:

ისი გარემოება, ამბობს მობხენება, რომ საქართველო ვახდა პირველი მსხვერპლი საბჭოთა იმპერიალიზმის, ისტორიულ მნიშვნელობას აძლევს საქართველოს დაპყრობას და საერთაშორისო მუშათა კლასის აზრსა და გრძობებში აკუთვნებს იმ ადგილს, რომელიც მიანიჭა მას თავის მანიფესტში ინტერნაციონალის აღმასრულებელმა კომიტეტმა ინტერნაციონალის დაარსების 50 წლის თავზე, როდესაც განაცხადა:

«სამოცი წელია მას აქვთ, რაც ერთა თვით-გამორკვევის უფლების სიმბოლოთ იყო პლონეთის მოთხოვნისა მისი დამოუკიდებლობის აღდგენის. ეს დამოუკიდებლობა დღეს უკვე აღდგენილია. დღეს, ჩვენ სრული თანხმობით ინტერნაციონალის ამ პრინციპთან ვალიარებთ თვით-გამორკვევის უფლებას საქართველოსათვის, როგორც სიმბოლოს ყველა ერისა, რომელიც ძალადობის რეჟიმს განიცდის».

საქართველოს შესახებ, უკვე ჰამბურგის კონგრესმა დაადგინა:

«კონგრესი ადასტურებს მეორე ინტერნაციონალის და სოციალისტურ პარტიათა ვენის გაერთიანების რეზოლიუციებს საქართველოს საკითხის შესახებ; იგი შოთხობს, საქართველოდან საბჭოთა ჯარების გაყვანას და ქართველი ხალხის სუფერუნიტეტის აღდგენას».

სოციალისტური პარტიების პოზიცია საქართველოს მიმართ მით უფრო მნიშვნელოვანი იყო, რომ ამ პუნქტში საკითხი საერთაშორისო უფლებების—მორალურ და პოლიტიკურ პრობლემის გვერდით—დაკავშირებული იყო რუსეთის მთავრობის იურიდიულ ცნობასთან სხვა სახელმწიფოების მიერ, რასაც მოითხოვდნენ სოციალისტები. უკვე ლიუქსემბურგის სხდომაზე ინტერნაციონალის აღმ. კომიტეტმა განსაკუთრებულ რეზოლიუციად მოაწოდა ყველა მის შემავალ პარტიებს, რომ

«თანხმად ჰამბურგის კონგრესის რეზოლიუციისა, სოციალისტური პარტიები, შოთხობენ რა თავიანთ მთავრობებისაგან საბჭოთა მთავრობის ცნობას, ვალდებუ-

ლი არიან იზრუნონ, რომ ამ აქტმა არ შეუშალოს ხელი მოლაპარაკების გაგრძელებას საქართველოში სამხედრო ოკუპაციის მოხსნის თაობაზე.

1924 წლის აგვისტოს დამლევს აღჯანყებამ იუფთა შევიწროებულ საქართველოში პრესაში ამის შესახებ თავდაპირველად გამოქვეყნებული ცნობები ერთი-მეორის საწინააღმდეგო იყო. შემდეგაც როცა ფრანგულ პრესაში გაცხარებული კამათი იყო გამართული კომუნისტებსა და ჩვენ ამხანაგ ფრანგებს და ქართველებ შორის აღჯანყების წარმოშობის შესახებ. თვით ინგლისის სოციალისტურ პრესაში გამოვიდა წერილები, რომელნიც ამ აღჯანყებას სრულიად არამნიშვნელოვან ეპიზოდის ხასიათს აძლევდნენ. და მხოლოდ, როცა თვით ქართულმა კომუნისტურმა გაზეთებმა მოვეიტანეს ცნობები მასიური დასჯის და უდანაშაულო მძევლების დახვერცხვის, ცნობები, რომელთაც თან ახლდა კომუნისტთა ერთ მეთაურის კახიანის ცინიკური შენიშვნა: «მენშევიკებმა მოახდინეს დემოკრატიული აღჯანყება და ერთი ჩვენი ამხანაგიც ვერ დასაჯეს, თუმცა ჩვენ მათი ასობით დავხვერიეთო...» მხოლოდ მაშინ ეს მოკლეები წარმოსდგენ ჩვენ წინაშე მთელის თავის საშინელებით და სეკრეტარიატმა ზომები მიიღო, რომ მთელ ქვეყნისთვის გაეცნო იგი.

პირველი ცნობები აღჯანყების შესახებ მოვიდა ლონდონში სწორედ იმ მომენტში, როცა (9 სექტემბერს) აღმინისტრ. კომისია (ბიურ ა) იყო შეკრებილი. მიღებული ინფორმაციის გულდასმით განხილვის შემდეგ კომისიამ დაადგინა დაცეცა აღმასრ. კომიტ. სხდომამდე, რომელიც მოკლე ხანში უნდა შემდგარიყო ლონდონში (იმავე სექტემბერში) ამ საგანზე თავის პოზიციის შესამუშავებლათ. ეს პოზიცია აღმასრ. კომ. მიიღო ძლიერ კატეგორიულათ საკითხის ღრმად განხილვის შემდეგ. გარდა იმისა, რომ თავის მანიფესტში ორჯერ შეეხო საქართველოს საკითხს, აღმასრ. კომიტეტმა გადაწყვიტა სპეციალური რეზოლიუციის მიღება, რომელშიაც ის განსაკუთრებით კიხავს მძევლების დაბოცვას. რეზოლიუციამ მოხსენებულთა ხელშეკრულებანი, რომელთაც ხელი მოაწერასაბჭოთა რუსეთმა და შემდეგ დაარღვია მშვიდობიან საქართველოზე თავდასხმით. თავგანწირულ ნაბიჯს ქართველი ხალხისას ის ხსნის იმით, რომ დაზუსტული იყო ყოველი შესაძლებლობა ლეგალური პოლიტიკური მოქმედების; ის პრატესტს აცხადებს სისხლიანი რეპრესიების წინააღმდეგ და ავალებს ყველა თავის მიმდევარ სოციალისტურ პარტიებს მხარი დაუჭიროს ქართველ ხალხს საქართველოდან რუსის ჯარის გაყვანის და თავისუფალ რეფერენდუმის მოხდენის მოთხოვნით.

და აი ესაა მოთხოვნილება სიმბოლოთ ქცეული, რომელსაც ინტერნაციონალი ყოველთვის წამოაყენებს ყველა დაჩაგრულ ერისთვის.

შემდეგ მოხსენებაში მოთავსებულია რეზოლიუციები მიღებული აღმასრულებელ კომიტეტის მიერ, რომელიც მოგუყავს მთლიანათ:

1924 წ. თებერვალში, ლიუქსენბურგში, აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა: «მიიღო რა მხედველობაში, რომ საბჭოთა რუსეთის იურიდიული ცნობა ევროპის სახელმწიფოთა დღიურ წესრიგში დგას. აღმასრულებელი კომიტეტი მოაგონებს ყველა შის მიმდევარ პარტიებს, რომ თანახმათ ჰამბურგის კონგრესის დადგენილებისა, სოციალისტური პარტიები, მოითხოვენ რა თავის მთავრობებისაგან საბჭოთა მთავრობის ცნობას, ვალდებული არიან იზრუნონ, რომ ამ აქტმა არ შეუშალოს ხელი მოლაპარაკების გაგრძელებას საქართველოში ოკუპაციის მოხსნის თაობაზე.

აღმასრ. კომიტეტი მოუწოდებს თავის მიმდევარ პარტიებს გასწიონ პროპაგანდა საქართველოდან საბჭოთა საოკუპაციო, ჯარის გაყვანის სასარგებლოთ, თანახმათ ჰამბურგის რეზოლიუციისა».

იმავე თებერვალში ირ. წერეთელს და რუსეთის ამხანაგებს მიენდო წიგნის შედგენა რუსეთში და საქართველოში გამოქვეყნებულ ტერორის და შევიწროების შესახებ.

ენაში 1924 წ. ივნისში, აღმასრ. კომ. ისევ უბრუნდება რუსეთის და საქართველოს საკითხს: ის ადგენს:

«აღმასრულებელმა კომიტეტმა მოისმინა რა მოხსენება რუსეთის და საქართველოს დელეგატებისა საბჭოთა კავშირში შექმნილ მდგომარეობის შესახებ, იგი დასტურებს ლიუქსენბურგში მიღებულ რეზოლიუციებს შესახებ რუსეთისა და საქართველოს სამხედრო ოკუპაციისა და აღნიშნავს, რომ იმ ბრძოლისთვის ზიანის მიუყენებლათ, რომელსაც აწარმოებს ინტერნაციონალი, რათა წინააღმდეგეს კაპიტალისტურ და კონტრ-რევოლუციონურ ინტერვენციის პოლიტიკას საბჭოთა კავშირის მიმართ, ყველა სოციალისტურ და მუშათა პარტიებს ვალდებულება აძევს დახმარება

გაუწიონ რუსეთის და საქართველოს სოციალისტურ პარტიებს და საზოგადოებრივი აზრის წინაშე გამოიტანონ თავის პრესაში და განცხადებებში ცნობები ტერორისტული რევიმის შესახებ, რომელიც ათმელიც შეუწყვეტლივ მშენებარებს მუშათა და გლეხთა მასების წინააღმდეგ საბჭოთა კავშირში.

ბოლოს 1924 წლის სექტემბერში მიღებული რეზოლიუცია აჯანყების შესახებ შემდეგია:

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა .

«მუშათა სოციალისტურ ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტმა, ღრმა შწუხარებით მოისმინა ცნობა საშინელი რეპრესიების შესახებ, რომელიც ქართველი ხალხის სასოწარკვეთილ აჯანყების გამო მიიღო საბჭოთა რუსეთის მთავრობამ. იმ მთავრობამ, რომელმაც ჯერ კიდევ 1921 წ. თებერვალში გადალაბა საჯაროთ დადებულ პირობა შვიდობიან საქართველოზე თავდასხმით და დაპყრობით. სასაცილოთ აიგდეს რა მოთხოვნილება ჩვენი ქართველი ამხანაგების და მთელი ინტერნაციონალის. ბოლშევიკთა ხელმძღვანელებმა უარყვეს ქართველი ხალხისთვის თვითგამორკვევის უფლების მინიჭება. დესპოტიური რევიმითა და დიქტატურით ერთ პარტიის, რომელიც ყოველგვარ პოლიტიკურ აქტივობას უკრძალავს სხვა პარტიებს, მათ შეუძლებელი გახადეს ქართველი ხალხის მშვიდობიანი განვითარება და საქართველოს საკითხის ყოველივე მოწესრიგება. ამ მეთოდების ხმარებით მათ სასოწარკვეთილებაში ჩააგდეს საქართველოს მუშები, გლეხები და ინტელიგენცია. მოკვლა რამდენიმე ათეული მძევლათ აყვანილი სოციალისტის, რომელთაც არ შეიძლებოდა რაიმე პასუხისმგებლობა დადებოდა აჯანყებაში, რადგან ისინი უკვე დატუსაღებული იყვენ ზოგი თვეებით და ზოგი მთელი წლით ადრე აჯანყებამდე, წარმოადგენს ისეთსავე უსაშინელებს სიმხეცეს, როგორც ყველაზე უარესი აქტი, ჩადენილი იმპერიალისტებისაგან ომის დროს.

აღმასრ. კომიტეტი პროტესტს აცხადებს მთელი ქვეყნის მშრომელთა წინაშე ამ რეპრესიების წინააღმდეგ, რომელიც დღესაც გრძელდება. რუსეთის სოციალისტურ პარტიებმა შესარულეს თავის ინტერნაციონალური და სოციალისტური მოვალეობა იმით, რომ მოუვიდათ თუ არა ცნობა საქართველოს აჯანყების ჩასაქრობათ მიღებულ რეპრესიების შესახებ. დაუყონებლივ განაცხადეს, რომ მუშათა კლასის იმ სექციებს, რომელნიც ჩვენს ინტერნაციონალში შემოდინა, არავითარი პასუხის მგებლობა არ მიუძღვით რუსეთის დღევანდელი მთავრობის ბარბაროსულ აქტებში და რომ ისინი მუშათა ინტერნაციონალთან ერთათ ცნობენ ქართველი ხალხის სრულ თვითგამორკვევის უფლებას. ესაა დღის საპატიო მოვალეობა მთელი ინტერნაციონალის, როგორც პოლანეთის ხალხის დაცვა იყო წინეთ—პირველი ინტერნაციონალისთვის.

ვგზავთეტივი მაუწოდებს ყველა მის შემავალ პარტიებს მთელი თავის ენერგიით გამოვიდენ მთელი ქვეყნის მშრომელთა წინაშე, რათა ამ უკანასკნელთ მხარი დაუჭირონ ქართველი ხალხის მოთხოვნილებებს:

რუსის ჯარის გაყვანა საქართველოდან.

თავისუფალი რეფერენდუმი ქართველ ხალხს!»

ვ ა რ ლ ა მ ჩ ე რ ქ ე ზ ი მ ვ ი ლ ი ს ხ ს ო ვ ნ ა ხ .

როგორც მაგონდება, ეს იყო 1900 წ. მაშინ ბათუმში ეცხოვრობდი. ღამის ათი საათი იქნებოდა სახლში რომ მივედი, მითხრეს ვარლამ ჩერქეზიშვილი გვესტუმროთ. შევედი, მივესალმე ვარლამს. (ეს პირველი შეხვედრა იყო) მან ხელი მომცა და ზედ დაატანა: «ოხ, თქვენი ტუგანი (ბარანოვსკი)! მარქსი! რას შერებთ, რას ჩადიხართ მარქსისტებო.—გთხოვო, ბატონო, დაბრძანდეთ. ჯერ დაისვენეთ, დაღლილი იქნებით და მერე ვილაპარაკოთ ამაზე მეთქი, დავაპირე მეთქვა, მაგრამ ამათ: აღუვებული ვარლამი თავისას განაგრძობდა. პირველივე მისი სიტყვებიდან და ლაპარაკის კილოდან მე ისეთი შთაბეჭდილება მივიღე, რომ ის ევროპიდან საქართველოში სწორეთ იმიტომ წამოსულა, რომ ჩვენ წინააღმდეგ კამპანია აწარმოოს. რაოდენიმე დღე დაჰყო მან ჩემსას (რასაკვირველია, ის მაშინ არალეგალურათ ცხოვრობდა) და მთელი ეს დღეები წაატარა ჩვენთან გაუწყვეტელ ცხარე კამათში. შემდეგ ეს პოლემიკა, როგორც მან-

სოცს, გავრძელდა ლანჩსუთში, მაგრამ საქმეს ვერც ამან უშველა: ვერც ლანჩსუთში აღმოჩნდა საერთო რამ ბაკუნინსა და მარქსის მოძღვრების შორის.

იმ ხანათ ზვენ შევხვდით ერთმანეთს, როგორც შეურიგებელი მოწინააღმდეგენი, და ასევე დავეშორდით ერთმანეთს, მაგრამ მოწინააღმდეგეკმ ჩემში დასტოვა მისდამი დიდი სიმპატიო და პატივისცემა.

მეორეთ ვარლამი ვინახულე 1919 წლის დამდეგს პარიზის კონფერენციაზე წამოსვლის წინეთ. მახსოვს მაშინდელი მისი დრტივინვა. ვაი თუ საეცებით ამოწურული ვერ იქნეს ასეთ დროს მთელი მნიშვნელობა იმ ფაქტის, რომ ზვენ რუსეთთან ზელშეკრულება გეჭონდა, რომ რუსეთმა ეს ზელშეკრულობა დაარღვია; ახლა რუსეთი უკვე დაირღვა და ზენი უფლებდა აღდგენილია. ბევრი მწვავე საკითხი გვიდგა მაშინ დღის წესრიგში, მაგრამ ვარლამის მთელი არსება საქართველოს დამოუკიდებლობაზე ფიქრით იყო მოცული.

უკანასკნელათ ვ. ჩერქეზიშვილს შევხვდი 1921 წლის ნოემბერში ლონდონში. მისი სიტყვები, რომელიც მე ძლიერ ხშირად მაგონდება იყო: ჩვენ გავგათავისუფლებენო. რაოდენი რწმენა, იდეალიზმი და ქართველი ხალხისადმი სიყვარული მომესმა მე ამ სიტყვებში! რაოდენათ ღრმათ სწამდა მას, რომ სიმართლე, მართალი საქმე გაიმარჯვებს; რომ განათლებულმა კაცობრიობამ საქართველოს თავისუფლება უნდა აღუდგინოს; რომ ქართველმა ხალხმა თავისუფლება დაიხსნაჲთა და მას ამაში უარს ვერავენ ეტყვის.

დაახ. უღრმესი სიყვარული თავის ქვეყნისადმი, შეურყვეველი რწმენა, რომ კაცობრიობა წინ მიდის და მასთან ერთად იქნება ქართველი ხალხი, აი რა ასულდგმულებდა განსვენებულ ვ. ჩერქეზიშვილს.

რევოლიუციის დროს ჩემ სოფელში ჩავედიო. მითხრა მან ერთხელ. აქ ჩემი ხნის გლეხმა მოიგონა დიდი ხნის წარსული და სხვათა შორის მითხრა: ვარლამ, ხედავ: აი ეს შენი მიწაა, ის შენი ვენახია... მახსოვს ვარლამის გაღიშება, როცა ამას ამბობდა: ეს ღიმილი მე მეჩვენება იმის მოთხრობათ, რომ მან, ვარლამ ჩერქეზიშვილმა, დიდი ხანი დასტოვა თავისი მიწის ნაქრები იმავ გლეხისათვის და პირად კეთილდღეობას ამჯობინა საქვეყნო საქმის სამსახური და იდეალისათვის ბრძოლა, ამას შესწირა მან უნაკლულთ თავის ხანგრძლივი ცხოვრება; ამას გვასწავლიდა აწ განსვენებული.

თავის ხალხისადმი მხურვალე სიყვარულის მატარებელი და მისი ბედნიერებისთვის დაუღალავი მუშაკი, ის სრულიად თავისუფალი იყო შოვინიზმისა და მასზე აწინებული ანგარიშებისა და კომბინაციებისაგან. მოკლებული სამშობლოში მუშაობის საშუალებას, ის სხვაგან, სხვის ქვეყანაში, სხვა ხალხებში სთესდა სიყვარულს და ნდობას ქართველი ხალხისადმი.

ვარლამ ჩერქეზიშვილი ვერ მოესწრა საქართველოს განთავისუფლებას. მაგრამ მან დავეიტოვა ურყევი რწმენა, რომ საქართველო განთავისუფლდება. მას ხალხი არ დაივიწყებს, და მის ანდერძს განახორციელებს.

კ. ჩხეიძე.

მ ე დ ა კ ც ი ა ს ა გ ა ნ .

ამ ნომერში ზვენ შევხვდით მხოლოდ რამოდენიმე ნეკროლოგის მოთავსება. რედაქცია უზმდეგ ნომერებშიც დაუთმობს ადგილს ბრძოლაში დაღუპულთა ხსოვნას. ეთხოვთ ყველა ამხანაგებს მოგვაწოდონ ცნობები. ბიოგრაფიები თუ მოგონებანი მათ შესახებ.

— უადგილობის გამო ამ ნომერში ვერ დაიბეჭდა პრალის ქართველ ემიგრანტთა საზოგადოების საერთო კრების მიერ ამა წლის 31 აგვისტოს მიღებული რეზოლიუცია აჯანყების წლისთავის აღსანიშნავათ.

გადაიღო აგრეთვე ოდენკურში მომუშავე 32 ამხანაგის მისალმება ბრძოლაში რედაქციისადმი.

Rédaction et Administration:

Le Gérant: G. - A. Bernard,

D. Charachidzé. 2, Rue Perceval, Paris, 14.

Imprimerie A. Lejeune 95, Grande Rue, Arpajon (S. et. O.)